ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

გვ.5

ბათუმის აეროპორტში სამხრეთ აფრიკიდან შემოტანილი 11 კილოგრამზე მეტი მარიხუანა ამოიღეს

ირაკლი კობახიძის დედამ „ტვ პირველს“ სასამართლო დავა მოუგო

გვ.5

ოთხშაბათი, 21 სექტემბერი, 2022 №186 (8964) ფასი: 80 თეთრი

ქუთაისში „საქართველოს ბანკზე“ თავდამსხმელი 37 წლის გრიგოლ ნარსია

გვ.2

2 მილიონი დოლარი, ვერტმფრენი, რუსეთის დროშა და ანკესი – 9-საათიანი დაძაბული დრამა სპეცოპერაციითა და დამნაშავის დაკავებით დასრულდა

„ოპოზიცია უნდა გაერკვეს, რა უნდა და რისთვის იბრძვის... არასერიოზულად იქცევა“

გვ.2

იაგო ხვიჩიამ სახალხო დამცველის პოზიციაზე საკუთარი კანდიდატურა წარადგინა

გვ.3

„ქვეყანას ოპოზიციური სპექტრი წყალივით სჭირდება“

ზურაბ ქადაგიძე: „ქუჩა ოპოზიციის პოლიტიკური ბრძოლის ერთადერთი საშუალებაა, მაგრამ იმ ქუჩაშიც არაფერი გამოსდით“

გვ.3

„ქართულ ოცნებას“ სახალხო დამცველის მიმართ პრობლემა ყოველთვის ჰქონდა“

გედევან ფოფხაძე: „წარმოუდგენელია, ამ რეალობაში გაათავისუფლონ ნიკა გვარამია. ამიტომ ფიქრი ადამიანის უფლებებზე, მის აღდგენასა თუ დაცვაზე ფუჭი იმედია“

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს შეხვდა

გვ.3

1993230720223

4 „რუსეთისთვის ომში 50 ათასზე მეტი დანაკარგი კატასტროფაა“

5 ნიკა გვარამია: „არცერთი დამფუძნებელი არ მედავება, არავინ მედავება. ამიხსენით, ვინ მედავება?“

5 პოლიციამ თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, გურიასა და მესტიაში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

6 ევროკავშირის საბჭომ უკრაინისთვის დამატებითი, 5 მილიარდი ევროს ოდენობის დახმარების გამოყოფა დაამტკიცა

ქუთაისში „საქართველოს ბანკზე“ თავდამსხმელი 37 წლის გრიგოლ ნარსიაა

2 მილიონი დოლარი, ვერტმფრენი, რუსეთის დროშა და ანკესი – 9-საათიანი დაძაბული დრამა სპეცოპერაციითა და დამნაშავის დაკავებით დასრულდა

კრიმინალური დრამა 20 სექტემბერს ქუთაისის ცენტრში დილის თერთმეტი საათიდან დაიწყო. ყაჩაღური თავდასხმა და მძევლების აყვანა იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ სამართალდამცველებმა ბანკის ფილიალის სრულ ალყაში მოქცევას თითქმის ერთი საათი მოანდომეს.

„საქართველოს ბანკის“ ფილიალში შეჭრილი იყო ახალგაზრდა მამაკაცი ნიღბით, რომელსაც სამხედრო ფორმა ეცვა, შეიარაღებული იყო ცეცხლსასროლი იარაღით და იმუქრებოდა ასაფეთქებელი მოწყობილობების ამოქმედებით.

მას შემდეგ დაძაბული მოლაპარაკებები, პირველ რიგში, მძევლების გადასარჩენად მიმდინარეობდა. თავდამსხმელის პირველი მოთხოვნები სოციალურ ქსელში გახმაურდა. მას შემდეგ ის რამდენჯერმე ესაუბრა პოლიციას, თუმცა არც მოთხოვნები და არც ვითარება სხვა მხრივ არ შეცვლილა.

საბოლოოდ 9-საათიანი დაძაბული დრამა სპეცოპერაციითა და დამნაშავის დაკავებით დასრულდა.

„მთავარი არხის“ ინფორმაციით, თავდამსხმელი, რომელიც გუშინ ქუთაისში „საქართველოს ბანკში“ შეიარაღებული შეიჭრა და 12 პირი მძევლად აიყვანა, 37 წლის გრიგოლ ნარსიაა, რომელიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ბანოჯაში ცხოვრობს.

ბოლო ინფორმაციით, ამ დრომდე გრძელდება საგამოძიებო სამუშაოები თავდამსხმელის სახლში, თუმცა უცნობია, იმყოფებიან თუ არა მის სახლში ოჯახის წევრები.

მისი მეზობლები კი ამბობენ, რომ ბოლოს ნარსია 4 დღის წინ ნახეს, ზოგადად კი, მათი თქმით, ის სახლში პერიოდულად მიდიოდა ხოლმე.

დაუდგენელია, არის თუ არა იგი სამხედრო პირი. ვრცელდება ინფორმაცია, რომ დამნაშავე რამდენიმე წლით პოლონეთში იყო წასული, სადაც აზარტული თამაშების შედეგად დიდი ვალი დაუგროვდა.

ბანკზე თავდასხმის ქრონოლოგია 9 საათის განმავლობაში ასეთი იყო:

როგორც თვითმხილველები აცხადებდნენ, თავდაპირველად მძარცველი ნიღბის გარეშე შევიდა ბანკში და იქ მოირგო ქუდი და ნიღაბი, 12 ადამიანი აიყვანა მძევლად და პერიოდულად მათი მეშვეობით ახორციელებდა გარესამყაროსთან კონტაქტს.

რამდენიმე ლაივ-ჩართვის შემდეგ მძარცველმა 2 მილიონი დოლარი, ვერტმფრენი, რუსეთის დროშა და ანკესი მოითხოვა, რომლის დანიშნულება გაურკვეველი დარჩა დღის ბოლომდე.

მოლაპარაკებები, პირველ რიგში, მძევლების გადასარჩენად მიმდინარეობდა. მას შემდეგ, რაც თავდამსხმელის პირველი მოთხოვნები სოციალურ ქსელში გახმაურდა, ის რამდენჯერმე ესაუბრა პოლიციას, თუმცა არც მოთხოვნები და არც ვითარება სხვა მხრივ არ შეცვლილა.

ბოლო კავშირის დროს მძევლებმა დააკონკრეტეს, რომ მათი მდგომარეობა სულ უფრო რთულდებოდა. რამდენიმე მძევალი დღის განმავლობაში შეუძლოდ გახდა და მათ მედიკამენტები სამართალდამცველებმა ფანჯრიდან მიაწოდეს.

ქუთაისში ჩავიდა შს მინისტრი ვახტანგ გომელაური, რომელიც ოპერაციას თავად ხელმძღვანელობდა.

12 ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა 9-საათიანი ტყვეობის დასრულების შემდეგ უცნობია. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაცია არ გაუვრცელებია.

მძევალი – რაცხა, კაი კაცი ჩანხარ შენ; მძარცველი – არ მაქ ხაჭაპური, თორე გაგიყოფდი.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების პრესსამსახურში ამბობენ, რომ მძევლებს საჭირო დახმარება ადგილზევე ჩაუტარდათ. მათი ჰოსპიტალიზაცია საჭირო არ გამხდარა.

მძევლების გათავისუფლება და თავდამსხმელის დაკავება შსს-ს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ქეთი კოვზიაშვილმა დაადასტურა.

გათავისუფლებულ მძევლებს მძიმე ემოციური ფონის ნიადაგზე სამედიცინო დახმარება დასჭირდათ, რომელიც სასწრაფო დახმარების სამსახურებმა ადგილზე აღმოუჩინეს. მძევლები იმერეთის სამხარეო პოლიციაში გამოკითხეს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„ოპოზიცია უნდა გაერკვეს, რა უნდა და რისთვის იბრძვის... არასერიოზულად იქცევა“

იაგო ხვიჩიამ სახალხო დამცველის პოზიციაზე საკუთარი კანდიდატურა წარადგინა

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი იაგო ხვიჩია პასუხობს.

– ბატონო იაგო, სახალხო დამცველის პოზიციაზე თქვენი კანდიდატურა წარადგინეთ. რამდენიმე დღის წინ აცხადებდით, თუ ამის აუცილებლობას დავინახავ, მხოლოდ იმ შემთხვევაში შევთავაზებ ჩემს კანდიდატურასო. რა ხდება, ჩიხში შევიდა პროცესი?

– ყველამ კარგად ვიცით, რომ ოპოზიცია ცალკე არჩევს კანდიდატს, ხელისუფლება – ცალკე. 7 დღეა ვადა დარჩენილი განცხადების შეტანისთვის და ჩვენ ვერ ვხედავთ იმ კანდიდატს, რომელსაც მხარს დავუჭერდით. ვინაიდან ამ პროცესში უარი შეიძლება იქნეს აღქმული ევროინტეგრაციის მიმართულების საწინააღმდეგო ნაბიჯად, ყველაფერს ვაკეთებთ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, წარვადგენთ კანდიდატს და ვითხოვთ კონსენსუსს ამ კანდიდატის გარშემო. რის თქმაც შესაძლებელი იყო ამ ეტაპზე ამ თემასთან დაკავშირებით, ყველაფერი ვთქვით და ველოდებით კოლეგების გამოხმაურებას. ასევე ველოდებით სხვა კანდიდატებსაც, რომ დავინახოთ, ვინ არიან ამ თვალსაზრისით კონკურენტები და ვის წარადგენენ ჩვენი კოლეგები როგორც ოპოზიციიდან, ასევე ხელისუფლებიდან.

– ვისმენთ შეფასებებს, რომ ხელისუფლებამ მაქსიმალურად დაავიწროვა იმ არასამთავრობოების რიცხვი, რომლებსაც შეუძლიათ კანდიდატის წარდგენა და ეს კანდიდატი აუცილებლად სახელისუფლებო წრეებიდან იქნება. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

– ვერ გეტყვით. წარმოდგენა არა მაქვს. ჩვენ ახლა შევდივართ ამ პროცესში და ვნახოთ, რას შემოგვთავაზებენ ჩვენი კოლეგები.

– პრემიერ-მინისტრი იმყოფება ვიზიტით ამერიკაში. ამ ყველაფერს კი წინ უძღოდა დასავლეთის ისტერიული ლანძღვა-გინება. რა გზავნილებს ჩამოიტანს, რას ელით?

– ყველაფერს ველი. შესაძლოა, ყველაფერი მოხდეს. ჩვენც არ ვიცით, რის გამოა იქ ღარიბაშვილი წასული, რამის დასალაგებლად თუ, პირიქით, გასაფუჭებლად, იმიტომ რომ, ვერ წარმომიდგენია, საქმის გასაკეთებლად მიდიოდე და აქ შენი პარტიის წევრები, რომლებიც უმრავლესობიდანაც კი არ გადიან, უბრალოდ, ამერიკას ემიჯნებიან და ეს განასხვავებთ „ქართული ოცნებისგან“. ეს არ არის სერიოზული, ამიტომ დიდად არც არაფერს ველი. წარმატებას ვუსურვებ საქართველოსა და ქართველ ხალხს ამერიკასთან ურთიერთობის დალაგების საქმეში. ეს ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა ამ ქვეყანაში.

– კვლავ დარჩება ამერიკა ჩვენს მეგობრად თუ შესაძლოა დაკარგოს ინტერესი საქართველოს მიმართ?

– საქართველოსა და ამერიკის მეგობრობა მათ კონკრეტულ მთავრობებზე არ არის დამოკიდებული. იმედი მაქვს, ქართველ ხალხზე გულის აცრუებას ეს არ გამოიწვევს.

– აქტიურად საუბრობენ ირაკლი ღარიბაშვილის შეცვლაზე. იხუმრეს კიდეც, პრემიერ-მინისტრებისთვის ამერიკაში ვიზიტი ცუდად მთავრდებაო. როგორ ფიქრობთ, მომწიფდა სიტუაცია საიმისოდ, რომ ივანიშვილმა გაუშვას ღარიბაშვილი?

– ვერ გეტყვით. მე ამის მნიშვნელობას ვერასდროს ვერ ვხედავდი, რა შინაარსი ჰქონდა რომელიღაც პრემიერ-მინისტრის მოხსნასა და იმავე უფლებამოსილებებით ახლის დანიშვნას. მე მირჩევნია, რომ პრემიერის მოხსნასა და ახლის დანიშვნაზე კი არა, ამერიკასთან სიტუაციის დალაგებაზე იყოს საუბარი და ყურადღება გადატანილი.

– რა ხდება ოპოზიციურ ფლანგზე? ცხელი შემოდგომა, ვადამდელი არჩევნები, უამრავი დაპირება გაიცა ზაფხულში, თუმცა არაფერს არ ასრულებენ. ბოლო გამოკითხვებით, ძალიან დაბალია ოპოზიციის რეიტინგი. რა შეცდომები დაუშვეს და რატომ დაკარგეს ნდობა საზოგადოებაში?

– პირველ რიგში, არათანმიმდევრულობითა და იმის საჯაროდ ართქმით, რაც რეალურად უნდათ. არაგულწრფელობაა, რის გამოც პოლიტიკოსი კარგავს ნდობას. გამოჩნდა, რომ ამ მიმართულებით ოპოზიციამ ბევრი შეცდომა დაუშვა.

– ვადამდელი არჩევნებისთვის მზაობას რამდენად ხედავთ, არის ამის მოთხოვნა დღეს საზოგადოებაში?

– საზოგადოებაში ცვლილებების მოთხოვნა რომ არის, ფაქტია, უბრალოდ, ჩვენი ოპოზიციონერები ამას ხელს უშლიან, გამოდიან და გამუდმებით ლაპარაკობენ, რომ ცხელი შემოდგომა იქნება, ასე იქნება, ისე იქნება და აი, ასეთი ცრუ მოლოდინებით ადამიანებს ხელს უშლიან. მე პირიქით მგონია ეს ამბავი, კონტრრევოლუციური, არათუ რევოლუციურია ის, რასაც ოპოზიცია აკეთებს.

– ანუ იწუნებთ ოპოზიციის ამ ნაბიჯებს?

– მე საერთოდ ვერ ვხედავ ნაბიჯებს ოპოზიციის მხრიდან, შესაბამისად, ვერც მოვიწონებ და ვერც დავიწუნებ მათ. მე, უბრალოდ, ვხედავ, რომ ისინი არ იქცევიან სერიოზულად იმ მიზნებისთვის, რასაც ლაპარაკობენ. ძალიან ბევრი მიზეზი არსებობს, რის გამოც ოპოზიციამ ნდობა დაკარგა და არათანმიმდევრულობა ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

– მთავარ ოპოზიციურ ძალად სახელდებოდა ნაციონალური მოძრაობა და ბოლო კვლევებით 8% აქვს. ნიკა მელიას აბრალებენ ამ ყველაფერს და მხოლოდ ნიკა მელიაა დამნაშავე?

– არა, მხოლოდ ერთი ადამიანი ვერ იქნება დამნაშავე. ამაში დამნაშავეა მთელი ის სისტემა, რომელიც პოლიტიკოსებს ერთმანეთთან საუბარს უკრძალავს. ეს სისტემა მოქმედებს ყველა პარტიაში და მათ შორის ოპოზიციაშიც. აი, ეგ არის მთავარი პრობლემა, ჩემი აზრით. ოპოზიცია უნდა გაერკვეს, რა უნდა და რისთვის იბრძვის. თქვან, რა უნდათ.

– რას იტყვით ნიკა გვარამიას პროცესთან დაკავშირებით? თქვენ ყოველთვის ამბობდით, რომ უსამართლოდ იჯდა გვარამია ციხეში.

– ზოგადად, ის მუხლი, რომლითაც გვარამია ზის ციხეში, საერთოდ არ უნდა იყოს სისხლის სამართლის კოდექსში, ანუ ყველა ის მუხლი რომც დაუმტკიცდეს, რასაც ედავებიან, მაინც არ არის დასაჭერი. აი, ეს წარმოადგენს ამ საქმეში მთავარ პრობლემას. შესაბამისად, გვარამიას რომც დამტკიცებოდა ეს დანაშაული, ის ციხეში არ უნდა იჯდეს.

– იმედი გაქვთ, რომ მოსამართლეს გონება გაუნათდება?

– რა გითხრათ, ეს ხომ მოსამართლის გადასაწყვეტი არ არის და არც სასამართლოში წყდება ეს ამბავი. მთელი პრობლემა ჩვენი მართლმსაჯულების სისტემისაც ხომ ეს არის, რომ ასეთი საკითხები სასამართლოში არ წყდება.

– ივანიშვილმა უნდა მიიღოს ეს გადაწყვეტილება, ამას გულისხმობთ?

– ყოველ შემთხვევაში, მოსამართლემ – არა.

– პროცესების როგორ განვითარებას ელით უახლოეს მომავალში, ასე მდორედ მივალთ 2024-მდე?

– უახლოეს პერიოდში – არანაირს. თუმცა შეუძლებელი მგონია, რომ ყველაფერი ასე მდორედ მივიდეს 2024 წლამდე. ვფიქრობ, რაღაც შეიცვლება, რაც ახლა არ ვიცით.

– რა შეიძლება იყოს ამის განმაპირობებელი?

– ის, რომ შეუძლებელია, სტაგნაცია ასე უსასრულოდ გაგრძელდეს. ადამიანები ცვლილებებს ითხოვენ და ყოველთვის ვერ შეუშლიან პოლიტიკოსები ხელს ამ ცვლილებებს.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართულ ოცნებას“ სახალხო დამცველის მიმართ პრობლემა ყოველთვის ჰქონდა“

გედევან ფოფხაძე: „წარმოუდგენელია, ამ რეალობაში გაათავისუფლონ ნიკა გვარამია. ამიტომ ფიქრი ადამიანის უფლებებზე, მის აღდგენასა თუ დაცვაზე ფუჭი იმედია“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, „ქართულმა ოცნებამ“ განაცხადა, რომ სახალხო დამცველის პოსტზე კანდიდატურა არ ეყოლებათ. რამდენად რეალურია, რომ მართლაც ნეიტრალური ომბუდსმენი აირჩიონ?

– თუ იმას გავითვალისწინებთ, როგორია „ქართული ოცნების“ მართვის სტილი, მათი ქმედების კონფიგურაცია, ეს ძალიან რთულად არის წარმოსადგენი. „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი რიგებიდან სპეციალურად გამოყო ოთხი დეპუტატი, რომლებსაც ამერიკის ელჩის ლანძღვა-გინება დაევალათ. ასევე ქვეყანაში არსებობდა და დღესაც არსებობენ სატელიტი პარტიები. შესაბამისად, ამ რეალობაში სახალხო დამცველის ინსტიტუტს მმართველი ძალა არ დათმობს.

„ქართულ ოცნებას“ ყოველთვის ჰქონდა სახალხო დამცველის მიმართ პრობლემა. უჩა ნანუაშვილმა, მერე – მოქმედმა სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ „ქართული ოცნების“ მოლოდინი არ გაამართლეს. ამ ადამიანებმა კანონის პატივისცემა და კანონის დაცვა გადაწყვიტეს. ამიტომ ახლა მმართველი ძალა იძულებულია, ტაქტიკა შეცვალოს და თქვას ის, რაც თქვა, რომ მათ თავიანთი კანდიდატურა ოფიციალურად არ ეყოლებათ, რეალურად კი ეს სრულიად წარმოუდგენელია.

– იაგო ხვიჩიამ პარლამენტს ამ პოსტზე საკუთარი კანდიდატურა შესთავაზა. რას იტყვით?

– რეალურად კი ახლა ოპოზიციას ორი ამოცანა აქვს: ერთი, შეთანხმდნენ იმაზე, რომ ქვეყანაში არის ავტორიტარიზმი და მეორე, ყველაფერი გააკეთონ ახალი სახალხო მოძრაობის კოორდინაციისთვის. ამ ამოცანით უნდა იყოს დღეს ოპოზიცია დაკავებული. სხვა დანარჩენი ყველაფერი მხოლოდ ფორმალობაა. არავითარი სასამართლო სისტემის რეფორმა ამ პირობებში არ იქნება. არ იქნება არანაირი სახალხო დამცველი, რეალურად ნეიტრალური და მიუკერძოებელი. სრულიად წარმოუდგენელია, ამ რეალობაში გაათავისუფლონ ნიკა გვარამია. ამიტომ ყოველგვარი ფიქრი ადამიანის უფლებებზე, მის აღდგენასა თუ დაცვაზე ფუჭი იმედია. ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი იქნება მკვდარი. ამიტომ, ამას რომ არ შევეგუოთ, ოპოზიციამ სერიოზულად უნდა იფიქროს ახალ მოძრაობაზე, რომელიც ადამიანებს იმედს გაუჩენს და დაანახებს, რომ გამოსავალი არის. რომ გამოსავალი არ არის ქვეყნის დატოვებასა და ემიგრაციაში, რომ ბრძოლას აზრი აქვს. ოპოზიციას დღეს ეს ამოცანა აქვს შესასრულებელი.

– საუბარია პროდასავლური ძალების ერთობაზე, გაერთიანებაზე. როგორ ფიქრობთ, ოპოზიციის ეს ფლანგი რამდენად შეძლებს ასეთი ერთობის ფორმირებას?

– სწორი იდეაა და მივესალმები ასეთ განცხადებებს, მაგრამ ამისთვის მოქმედებაა საჭირო. თუმცა, აქვე უნდა ვთქვა, რომ ეს არ უნდა იყოს მხოლოდ პარტიების ერთობა. ეს უფრო უნდა იყოს სახალხო მოძრაობა, ადამიანების ერთობა, რომლებიც ერთი იდეის გარშემო არიან გაერთიანებული და რომელთა მიზანიც არის ქვეყნის დასავლური ინტეგრაცია, რეალური დემოკრატიზაცია, რომელიც დიდი რეფორმების გარეშე წარმოუდგენელია. პირველ რიგში სასამართლო სისტემის რეფორმას ვგულისხმობ, რომლის გარეშეც დემოკრატიზაცია შეუძლებელია.

ეს ძალიან დიდი ამოცანაა. ამიტომ ეს არ უნდა ჩაიკეტოს მხოლოდ პარტიულ ოფისებში და პარტიები არ უნდა იყვნენ დომინანტები. ამიტომ ვამბობ, ახალი სახალხო მოძრაობის ფორმირებაა საჭირო. ამ სტილში უნდა გადავიდეს პროცესი და ვიწროპარტიულ ინტერესში არ უნდა დარჩეს. ავტორიტარიზმის ნგრევა კი „ქართულ ოცნებასთან“ ერთად წარმოუდგენელია.

– რამდენად შეძლებენ პარტიები საკუთარ ამბიციებზე უარის თქმას, პარტიულ ინტერესებზე მაღლა დადგომას?

– თუ ვერ შეძლებენ, მაშინ ამ პოლიტიკურ სტაგნაციაში ვიქნებით ძალიან დიდხანს. პოლიტიკოსებმა, პირველ რიგში, ეს უნდა გააცნობიერონ, საკუთარ თავთან ამაზე უნდა დაფიქრდნენ. თუ პოლიტიკოსები ვერ გააცნობიერებენ, რომ დიდი იდეისთვის ყველაფრის დათმობაა საჭირო, მაშინ არაფერი არ გამოვა და ამ რეალობაში კიდევ დიდხანს ვიქნებით.

პოლიტიკოსებმა, თუ პოლიტიკოსები არიან, უნდა გააცნობიერონ ისიც, რომ 24 თებერვლამდე მსოფლიო იყო სხვაგვარი და 24 თებერვლის შემდეგ მსოფლიო რეალობა შეიცვალა. უკრაინის გამარჯვების სიო აქაც დაჰბერავს. ახლა ამბიციების, ერთმანეთზე თავდასხმების ფუფუნება არა გვაქვს. ძალიანაც რომ მინდოდეს, არა მაქვს ფუფუნება, თავს დავესხა თუნდაც „გირჩს“. ახლა სერიოზული ამოცანები დგას ჩვენ წინაშე, მე ვიტყოდი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები – თუ როგორ სახელმწიფოში ვიცხოვრებთ ხვალ. დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოს თუ შევქმნით, მერე ამის ფუფუნებაც გვექნება.

„ქვეყანას ოპოზიციური სპექტრი წყალივით სჭირდება“

ზურაბ ქადაგიძე: „ქუჩა ოპოზიციის პოლიტიკური ბრძოლის ერთადერთი საშუალებაა, მაგრამ იმ ქუჩაშიც არაფერი გამოსდით“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ზურაბ ქადაგიძე პასუხობს.

– ბატონო ზურაბ, ითქვა, რომ გარკვეული, ნაცმოძრაობასთან ასოცირებული პოლიტიკური პარტიები – „ლელო“, „გირჩი – მეტი თავისუფლება“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“ – ალიანსის შექმნას გეგმავენ. როგორ ფიქრობთ, რა მნიშვნელობა აქვს ასეთი კონსტრუქციის ალიანსის შექმნას? ასეთი ალიანსი ოპოზიციურ ფლანგზე არსებულ მდგომარეობას რამენაირად გააჯანსაღებს?

– ასეთი ალიანსი აქამდე არ იყო? ნაციონალები და ყველა აქ დასახელებული პარტიის წარმომადგენელი, შალვა ნათელაშვილთან რომ იკრიბებოდნენ, ფანჩატურში, სხვა რა იყო? რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ისევ ფასადურ დამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე.

ჩემი სუბიექტური დამოკიდებულება ამ პარტიების მიმართ არაერთხელ დამიფიქსირება, ნეგატიურად ვარ განწყობილი, მაგრამ, ობიექტური თვალით რომ შევხედოთ, ჩვენს ქვეყანას ოპოზიციური პლატფორმა და ჯანსაღი ოპოზიციური სპექტრი წყალივით ესაჭიროება.

ქვეყანას ისეთი პოლიტიკური სპექტრი ესაჭიროება, რომელიც გამოწვევებს რეალურად უპასუხებს და რეალურ შეთავაზებებს გაუკეთებს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც გადაწყვეტილი არა აქვს, ხმა ვის მისცეს და, შეიძლება, ნიჰილისტურადაც არის განწყობილი ზოგადად არჩევნების, პოლიტიკის მიმართ.

ანუ საუბარი არ არის იმაზე, ეს ადამიანები ამომრჩეველს რას სთავაზობენ. ვაშაძემ

განაცხადა, პროევროპული პარტიები უნდა გავერთიანდეთ და საზოგადოება მხარს დაგვიჭერსო. რას გულისხმობს პროევროპულობაში, როგორ უყურებს სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებს, ამაზე არავინ საუბრობს.

თავი დავანებოთ მათ პირად რეპუტაციას. ზოგადად ვსაუბრობ. შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. რა მნიშვნელობა აქვს, „სტრატეგია აღმაშენებელი“ ერქმევა თუ რაღაც ერთიანი ოპოზიციური ფლანგი. ცოტა ჭიქაში ქარიშხალს ჰგავს. ისინი გაკოტრებული პარტიები არიან და, რაც არ უნდა გააკეთონ, ვერაფერს შეცვლიან. დაზიანებულ გემს ჰგვანან, რომელიც ფსკერისკენ მიდის. რაღაც უნდა გააკეთონ, რომ იმოძრაონ და საზოგადოების თვალში მოხვდნენ, თუმცა საპირწონედ ვერაფერს სთავაზობენ. ამიტომ ეს მე ჩვეულებრივი ყალთაბანდობა მგონია.

– საპირწონე არ არის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებისთვის პარლამენტში მუშაობა, რასაც ისინი თავს არიდებენ?

– კი ბატონო. ისინი რადიკალები არიან და ყველაფერზე მიდიან, რათა დააზიანონ არა „ქართული ოცნების“, როგორც პარტიის იმიჯი, არამედ ქვეყნის იმიჯი და საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებს ქვეყნის ინტერესები გადააყოლონ. აქედან გამომდინარე, ისინი პარლამენტში არ იმუშავებენ.

– რატომ? პირველი პუნქტის შესრულება მათი დამსახურებაც არ იქნება?

– პარლამენტში არ იმუშავებენ იმიტომ, რომ საქართველო სტატუსს მიიღებს თუ არა, ის ამ რადიკალებს, მათი მოქმედებებიდან გამომდინარე, დამსახურებად არ ჩაეწერებათ.

– გინდათ თქვათ, რომ ამიტომ რადიკალურ ოპოზიციას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება არ აწყობს?

– რა თქმა უნდა, არ აწყობს. ძალიან მარტივი მოცემულობაა: მათი გაკოტრებული რეიტინგიდან და დაზიანებული რეპუტაციიდან გამომდინარე, მათთვის მნიშვნელობა არა აქვს კარგი საქმის კეთებას, რადგან კარგი საქმე და ქვეყნის ინტერესები მათთვის არაფრის მომტანი არ იქნება და არაფერს შეცვლის. უბრალოდ, პროცესში მონაწილეობას მიიღებენ, რაც აუცილებელია.

ნორმალური ოპოზიცია ასე არ უნდა იქცეოდეს, მაგრამ მათი ბუნება ვიცით. მათთვის პროცესში მონაწილეობაზე უარის თქმა ერთადერთი საშუალებაა ქვეყნის იმიჯის დასაზიანებლად, საქართველოში, გარე ფაქტორების გამოყენებით, დესტაბილიზაციის გამოსაწვევად, პოლიტიკური კრიზისის შესაქმნელად, პოლიტიკური ქაოსის წარმოშობისთვის, რომ იქნებ ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირონ.

ეს ამ ადამიანების პერსპექტივაც არის, სტრატეგიაც და მიზანიც, ამიტომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება-არმინიჭება არაფერ შუაში არ არის.

– ალიანსის შექმნაზე მათი განცხადება ხომ არ იყო პასუხი ახლახან გამოქვეყნებულ რეიტინგებზე, რომელმაც აჩვენა, რომ, ფაქტობრივად, ოპოზიცია გაკოტრებულია?

– დიახ, ენდიაის კვლევები და მის მიერ გამოქვეყნებული რეიტინგები ერთ-ერთი ბოლო წყალგამყოფია, რაზეც ვსაუბრობთ მე და უამრავი ადამიანი, რომლებიც პოლიტიკას აკვირდებიან. ის, რაც ამ რეიტინგებმა აჩვენა, ოპოზიციისთვის კატასტროფაა. წარმოიდგინეთ, მმართველ პარტიას პირველ ოპოზიციურ ძალაზე 30-ჯერ მაღალი რეიტინგი რომ ექნება, ეს არის კატასტროფა.

ქუჩა მათი პოლიტიკური ბრძოლის ერთადერთი საშუალებაა. იმ ქუჩაშიც არაფერი გამოსდით. ცდილობენ, ქუჩაში ფასადური წარმოდგენა შექმნან, შოუ დადგან, პროვოკაცია მოაწყონ, რადგან ამ ადამიანებს, თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე, კონსტრუქციული და პრაგმატული პოლიტიკა არასოდეს უწარმოებიათ.

ახლა წარმოიდგინეთ, კონსტრუქციული და პრაგმატულ პოლიტიკასა და სახელმწიფო ინტერესებზე საუბარი არ იციან, არ შეუძლიათ, ბუნება არა აქვთ და ცდილობენ, თუნდაც 0,01%-ით მაინც, რაიმე საშუალებით თავი გადაირჩინონ. ახლა ამის საშუალებაა, ვთქვათ, სტატუსის თემაზე, ევროკავშირთან, ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებზე სპეკულაციები. ამით ცდილობენ, უფრო მეტად ქუჩაში წარმოშვან მღელვარება. ჰგონიათ, ასეთ შოუს, სანახაობას, ფასადურ დადგმას ქუჩაში პერსპექტივა აქვს. სხვა გზა არა აქვთ. ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც ტელეეთერებში ერთმანეთს უტყაპუნებენ, აგინებენ, გაწევ-გამოწევა აქვთ. სხვა აღარაფერი დარჩენიათ.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს შეხვდა

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა და მსოფლიოსა და კავკასიის რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილისა და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის შეხვედრის მთავარი განსახილველი საკითხები.

ნიუ იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში, გამართულ შეხვედრაზე ხაზი გაესვა ორი ქვეყნის მჭიდრო მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობების მნიშვნელობას. აღინიშნა ბოლო წლებში ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელოვანი შედეგები, მაღალი დონის ორმხრივი ურთიერთობების პოლიტიკური დინამიკა და რეგიონულ-გეოსტრატეგიული ხასიათის პროექტებში საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ჩართულობა და აქტიური თანამშრომლობა.

განსახილველ საკითხებს შორის იყო უკრაინაში მიმდინარე ომი და, შედეგად, მსოფლიოსა და რეგიონში არსებული რთული უსაფრთხოების ვითარება. ხაზი გაესვა რეგიონის შემდგომი განვითარებისა და გრძელვადიანი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად მშვიდობისა და სტაბილურობის მნიშვნელობას. ამ კონტექსტში აღინიშნა ირაკლი ღარიბაშვილის შუამავლობით აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის გასულ წელს მიღწეული შეთანხმება, რომლის შედეგადაც აზერბაიჯანმა სომეხი ტყვეები გაათავისუფლა, სომხეთმა კი, აზერბაიჯანს მნიშვნელოვანი რუკები გადასცა. აღინიშნა, რომ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის არსებული ეფექტიანი თანამშრომლობის ყველა მიმართულებით კიდევ უფრო განვითარება მნიშვნელოვანია ასევე რეგიონის სტაბილური და მდგრადი განვითარებისთვის. პრემიერ-მინისტრმა თურქეთის პრეზიდენტი საქართველოში მოიწვია.

„რუსეთისთვის ომში 50 ათასზე მეტი დანაკარგი კატასტროფაა“

„რუსებს საკუთარი ადამიანების დაღუპვის კი არა, დამარცხების ეშინიათ“

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინაში შეჭრილი რუსეთის ფედერაცია გულმოდგინედ მალავს ბრძოლის ველზე დაღუპულების რაოდენობას. უკრაინელი ანალიტიკოსი ვიქტორ ანდრუსივი ამბობს, რომ დასახელებული ციფრი, 50 ათასზე მეტი, რეალობასთან ახლოსაა.

რატომ არის ასეთი დანაკარგი რუსეთის ჯარისთვის დამღუპველი? რა პრობლემების წინაშე დგას აგრესორი? – ამ და სხვა საკითხებზე ანდრუსივი უკრაინულ მედიას ესაუბრა.

– უკრაინული გენშტაბის მონაცემებით, რუსეთის დანაკარგმა 50 ათასს გადააჭარბა. რამდენად ახლოსაა ეს ციფრი რეალობასთან?

– ციფრი, რომელსაც გენერალური შტაბი ახმიანებს, მაქსიმალურად ახლოსაა რეალობასთან. ეს მონაცემი ასპროცენტიანად ზუსტი არ არის, მაგრამ ის მაქსიმალურად მიახლოებულია რეალობას. ამაში ყოველთვის არ ითვალისწინებდნენ დაღუპულებს დონეცკისა და ლუგანსკის „სახალხო რესპუბლიკებიდან“. რუსეთის ჯარში ამ მებრძოლებს ამ ოლქებიდან ძალიან აგდებულად ექცევიან. მათ არც კი ითვლიან.

– რუსეთში ოფიციალური ღია წყაროები არაფერს ამბობენ უკრაინის ფრონტებზე დაღუპულების შესახებ. რატომ იმალება ეს ინფორმაცია?

– რუსეთში პანიკის ეშინიათ. ეშინიათ, რომ ამაზე საზოგადოებაში იმსჯელებენ. დაღუპულები სწორედ იმის გამოაშკარავებაა, რომ „სპეცოპერაცია“ გეგმის მიხედვით არ მიმდინარეობს. თუ განზრახული იყო რუსეთის 50 ათასზე მეტი ადამიანის დაღუპვა, გამოდის, რომ ეს საკმაოდ უცნაური გეგმა ყოფილა.

– რამდენად კრიტიკულია რუსეთის შეიარაღებული ძალებისათვის ამ რაოდენობის ცოცხალი ძალის დაკარგვა?

– რუსეთის შეიარაღებული ძალებისათვის ეს არის კატასტროფა, იმიტომ, რომ რუსეთის არმიის საკვანძო პრობლემაა ჯარისკაცების უკმარობა. დღეს ფრონტი შეადგენს დაახლოებით 1300 კილომეტრს. ფრონტის ასეთი ხაზის შესანარჩუნებლად და შეტევისთვის საჭიროა, სულ ცოტა, ნახევარი მილიონი ჯარისკაცი. რუსებს ამოქმედებული ჰყავთ 180 ათასი სამხედრო მოსამსახურე. 50-ათასიანი დანაკარგი საგრძნობლად ამცირებს რუსეთის შესაძლებლობებს, შეინარჩუნოს ფრონტის ხაზი. ამის შედეგად ისინი იშლებიან.

ჩვენი წარმატებული კონტრიერიში, გარკვეულწილად, იმის შედეგიცაა, რომ მოწინააღმდეგეს ბევრი დაღუპული ჰყავს.

– პუტინმა მიიღო გადაწყვეტილება მომავალი წლიდან არმიის 137 ათასი კაცით გაზრდის შესახებ. დაეხმარება ეს მოწინააღმდეგეს?

– არა, ვერ დაეხმარება. პუტინმა უნდა მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება იმაზე, რომ რუსეთი აწარმოებს ომს უკრაინის წინააღმდეგ. მან ახლანდელ მოვლენებს უნდა დაარქვას არა სპეცოპერაცია, არამედ, ომი. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლება რუსეთს მობილიზაციის განხორციელება და მხოლოდ მაშინ გადაწყდება, რამდენი ადამიანი უნდა გაიწვიონ.

– არის თუ არა ასეთი რაოდენობის დანაკარგი ის ზღვარი, რომელიც აიძულებს რუსეთის ხელმძღვანელობას, გადახედოს თავის გეგმებს ამ ომთან დაკავშირებით?

– რუსეთის ხელმძღვანელობას არა აქვს სხვა ვარიანტები. კრემლი ვერ ჩერდება, ომს ვერ წყვეტს.

მორალური თვალსაზრისით, რუსეთის ხელმძღვანელობა არ გრძნობს ტკივილს თავისიანების დაღუპვის გამო.

– რამდენი თავისიანის დაკარგვისთვისაა კიდევ მზად რუსეთი უკრაინაში პუტინის მიზნების მისაღწევად?

– შესაძლოა, ეს მილიონი იყოს. რუსებს საკუთარი ადამიანების დაღუპვის კი არა, დამარცხების ეშინიათ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია. ამიტომ ჩვენ მარტო იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომ რუსები დავამარცხოთ.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ინვესტიცია მეცნიერებაში, ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში მდგრადი ეკონომიკური პროგრესისთვის აუცილებელია“

საქართველოს მთავრობას მიაჩნია, რომ ინკლუზიური, თანაბარუფლებიანი და მაღალი ხარისხის განათლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და აღიარებს უწყვეტი განათლების შესაძლებლობების ყველასთვის უზრუნველყოფის საშუალებას, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გაეროს გენერალური ასამბლეის 77-ე სესიის ფარგლებში გამართულ განათლების გარდაქმნის სამიტზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ინვესტიცია მეცნიერებაში, ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში აუცილებელია მდგრადი ეკონომიკური და სოციალური პროგრესისთვის.

– პატივცემულო გენერალურო მდივანო, ძვირფასო კოლეგებო, მეგობრებო, პატივი მაქვს, მოგმართოთ გარდამქმნელი განათლების სამიტზე, რომელმაც შესანიშნავი პლატფორმა შექმნა განათლების, როგორც მშვიდობის, კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარების უნივერსალური საფუძვლის, მნიშვნელობის დასადასტურებლად.

საქართველოს მთავრობას მიაჩნია, რომ ინკლუზიური, თანაბარუფლებიანი და მაღალი ხარისხის განათლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და აღიარებს უწყვეტი განათლების შესაძლებლობების ყველასთვის უზრუნველყოფის საშუალებას. ამრიგად, განათლება კიდევ უფრო მაღლა დავაყენეთ ჩვენი მთავარი სტრატეგიული პრიორიტეტების რიგში. განათლება ქმნის თითოეული ინდივიდის პიროვნული ზრდისა და პროფესიული განვითარების საფუძველს, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს ჩვენს ერებს.

მიგვაჩნია, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოსწავლეებს მივცეთ წვდომა სკოლამდელ, ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე ყოველგვარი ბარიერების გარეშე, რათა ისინი აღიჭურვონ ცხოვრებისეული უნარებითა და კომპეტენციით, აგრეთვე კონკურენტუნარიანი და სტუდენტზე ორიენტირებული განათლების სისტემებით. ინვესტიცია მეცნიერებაში, ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში აუცილებელია მდგრადი ეკონომიკური და სოციალური პროგრესისთვის, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველოს მთავრობის განათლების გრძელვადიანი პოლიტიკა სამ ძირითად საყრდენს ეფუძნება. ესენია ხარისხი, თანასწორობა და კარგი მმართველობა.

– საქართველოს მთავრობის განათლების გრძელვადიანი პოლიტიკა სამ ძირითად საყრდენს ეფუძნება. ესენია ხარისხი, თანასწორობა და კარგი მმართველობა. მისი მიზნები და სტრატეგიული ამოცანები ეხმიანება ხუთ თემატურ მიმართულებას, რომლებიც ხაზგასმულია განათლების მომავლის საერთაშორისო კომისიის ანგარიშში და ის სრულად შეესაბამება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს.

ვამაყობთ განათლების ტრანსფორმაციის შესახებ ჩვენი ეროვნული განცხადების დებულებებით და იმისათვის, რომ მივაღწიოთ ამ ამბიციურ მიზნებს, საქართველოს მთავრობამ იკისრა ვალდებულება განათლების სახელმწიფო დაფინანსება 2030 წლისთვის გაზარდოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 6 პროცენტამდე.

საქართველოს მთავრობა გეგმავს კვლავ გააორმაგოს ძალისხმევა სასწავლო გეგმების გასაუმჯობესებლად, თანამედროვე და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მასწავლებლებისა და პედაგოგების პროფესიულ განვითარებაში ინვესტირებისათვის, რადგან ისინი ჩვენი ძალისხმევის ხერხემალს წარმოადგენენ მომავალი თაობის ადეკვატური უნარებითა და ცოდნით აღჭურვის საქმეში. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ეს ძალისხმევა საკვანძოა ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის, რომელიც განათლებული, გამოცდილი, პასუხისმგებლობის მქონე და აქტიური მოქალაქეებისგან შედგება, – აღნიშნა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, პანდემიის პირველ დღეებში საქართველომ განათლების სისტემას წარმატებით მისცა დისტანციური სწავლების რეჟიმში მუშაობის საშუალება, განათლების ყველა საფეხურზე დაინერგა მთელი რიგი უფასო და ხელმისაწვდომი ონლაინ და სამაუწყებლო მექანიზმები სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის.

– პანდემიამ ლიდერები მთელ მსოფლიოში აიძულა გადაეხედათ განათლებისთვის და მობილიზებული ყოფილიყვნენ გაეროს პრინციპის დასაცავად, რომელიც გულისხმობს, რომ არავინ დარჩეს სისტემის მიღმა. პანდემიის პირველ დღეებში საქართველომ განათლების სისტემას წარმატებით მისცა დისტანციური სწავლების რეჟიმში მუშაობის საშუალება, განათლების ყველა საფეხურზე დაინერგა მთელი რიგი უფასო და ხელმისაწვდომი ონლაინ და სამაუწყებლო მექანიზმები სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. კრიზისმა ფაქტობრივად გამოიწვია ინოვაციური გადაწყვეტილებების მატება. საქართველო მსოფლიოში პირველია მათ შორის, ვინც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი ძალისხმევით სასწავლო გეგმებზე დაფუძნებული სატელევიზიო პროგრამები დანერგა. პროგრამების პოპულარობა იზრდება და ემსახურება მთლიანად ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ინტერესებს. სიამაყით გაცნობებთ, რომ საქართველოს ძალისხმევა და წარმატება დისტანციური სწავლების დანერგვაში აღიარებულ იქნა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ქუთაისში „საქართველოს ბანკზე“ თავდამსხმელი 37 წლის გრიგოლ ნარსიაა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

შსს-მ მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე, 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით დაიწყო.

„საქართველოს ბანკის“ ფილიალზე თავდამსხმელი ქუთაისში, იმერეთის მთავარ სამმართველოშია გადაყვანილი. პოლიციის შენობაში დაკითხვაზე იმყოფებოდნენ გათავისუფლებული მძევლებიც.

მოგვიანებით სოციალურ ქსელში სატელევიზიო სიუჟეტებიდან ამოკრებილი მძარცველისა და მძევლების შელაპარაკებების ფრაგმენტები გავრცელდა:

მძევალი:

– 32 კაცი გვიყურებს ლაივში.

მძარცველი:

– არ ვაინტერესებთ არავის?

მძევალი:

– გადააზიარეთ, რომ ბევრმა ნახოს.

– სამი საათი აქანე უნდა ვიჯდე?

– ერთი „პაჩკა“ სიგარეტი შემომიგზავნონ.

– სადაა სკოჩი, მე დავახვევ. რანაირად დაგახვიო, კაი კაცი?

– რაცხა, კაი კაცი ჩანხარ შენ. ამაზე

მძარცველი:

– არ მაქ ხაჭაპური, თორე გაგიყოფდი.

მძევალი ლაივს რთავს:

– თან იყვირეთ რაცხა, გვიშველეთ და მაგფერები.

– სიგარეტი მოგვიტანეს? ამაზე მეორე მძევალი:

– სიგარეტს მოგიტანენ არა, არაყს დაგიყოლებენ კიდე ზევიდან.

– ნამცხვარი და ყავა მოგვიტანეთ.

– აი რიგის ნომერი ხვალ გამომადგება?

მძევალი ებლატავება მძარცველს:

– მე არ მაქ ჩიპი, არ ვარ მე მოლარე-ოპერატორი.

მძარცველი:

– ფისოებო, 2 მილიონი დოლარი მოიტანეთ, ფისოებო.

მძარცველი:

– კარები დანაღმულია. რო შემოვიდნენ, დედა მ.....თ.

ამაზე მძევალი პასუხობს:

– დედა იმათ კი არა, მე მ.....ბა. ბომბები აქააო.

112-ის ოპერატორი:

– მძარცველი შეიარაღებულია?

ამაზე მძევალი:

– არა, დანა-ჩანგლითაა მოსული.

პოლიციელი მძევალს:

– რა გქვია?

მძევალი:

– ვანო.

პოლიციელი:

– რა გვარი ხარ, ვანო?

მძევალი:

– რა მნიშვნელობა აქვს, აქანე ვცხოვრობ (ბლატნოი ტონით).

პ.ს. მძარცველი:

– ქალები გამოვუშვა კი არა, ცეკვა-ცეკვით გამოვალ კიდო.

პოლიციელი:

– ფული საიდან შემოგაწოდოთ?

მძარცველი:

– ფანჯრიდან შემოყარე, ძმა.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გაეროს გენერალურ მდივან ანტონიო გუტიერეშს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გაეროს გენერალურ მდივან ანტონიო გუტიერეშს შეხვდა. მთავრობის მეთაურის ნიუ იორკში ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე მსოფლიოში არსებული ვითარება და გამოწვევები მიმოიხილეს. ირაკლი ღარიბაშვილმა ანტონიო გუტიერეშს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ აფასებს გაეროს ჩართულობას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს მთავრობა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის ერთგულია, რაც საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციასა და საოკუპაციო ხაზით გაყოფილ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენას ისახავს მიზნად.

საუბარი შეეხო უკრაინაში მიმდინარე ომს და მის გავლენას მსოფლიოზე. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, უკრაინაში მიმდინარე ომმა საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურა და წესებზე დაფუძნებული წესრიგი მთლიანად შეარყია.

საუბარი შეეხო სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გარემოს. ხაზი გაესვა ირაკლი ღარიბაშვილის ძალისხმევით სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მიღწეულ შეთანხმებას, რომლის შედეგადაც აზერბაიჯანმა სომეხი ტყვეები გაათავისუფლა, თავის მხრივ კი, სომხეთმა აზერბაიჯანს მნიშვნელოვანი რუკები გადასცა. პრემიერ-მინისტრმა გამოთქვა მზადყოფნა, კვლავაც შეასრულოს მედიატორის როლი რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ავარია გორში — დაშავებულთა შორის სამართალდამცველია

გორში, წმინდაწყლის დასახლებაში, მსუბუქი და პოლიციის პიკაპის ტიპის ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად ორი ადამიანი დაშავდა, მათ შორის ერთი პოლიციის თანამშრომელია.

დაშავებულები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა საავადმყოფოში გადაიყვანა.

მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება.

ნიკა გვარამიას სასამართლო 4 ოქტომბერს გაგრძელდება

ნიკა გვარამიას სასამართლო თბილისის სააპელაციო სასამართლოში 4 ოქტომბერს გაგრძელდება. მოსამართლეთა კოლეგიამ სხდომა 12 საათზე ჩანიშნა. ბრალდებისა და დაცვის მხარეები მომდევნო პროცესზე უკვე დასკვნითი სიტყვებით წარდგებიან.

იმ შემთხვევისთვის, თუ 4 ოქტომბერს მხარეებს დასკვნითი სიტყვისთვის დრო არ ეყოფათ და პროცესი ვერ დასრულდება, მოსამართლეთა კოლეგიამ კიდევ ერთი – მეოთხე სხდომა დანიშნა, უკვე 11 ოქტომბერს, 16 საათსა და 30 წუთზე.

სააკაშვილის სასამართლო პროცესი 27 ოქტომბრამდე გადაიდო

საქალაქო სასამართლოში საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი 27 ოქტომბრამდე გადაიდო.

20 სექტემბერს სხდომა ე.წ. პიჯაკების საქმეზე უნდა ჩატარებულიყო, თუმცა მიხეილ სააკაშვილმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დასწრება ვერ შეძლო.

ცნობისთვის, მიხეილ სააკაშვილი 3 თვეზე მეტია, კლინიკა „ვივა მედშია“ გადაყვანილი. მიუხედავად მკურნალობის კურსისა, ადვოკატები და ოჯახი ამბობენ, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ უმჯობესდება.

კიკეთში მკვლელობაში ბრალდებულს პატიმრობა შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ კიკეთში მომხდარი განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა, შენახვა, ტარების ფაქტზე დაკავებულ გელა ნიორაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. სხდომას ბრალდებულიც ესწრებოდა.

დაცვის მხარემ სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების ნაცვლად, 10.000 ლარის ოდენობით გირაოს შუამდგომლობით მიმართა, თუმცა მოსამართლე გიორგი გელაშვილმა აღნიშნული არ გაითვალისწინა და პატიმრობის გამოყენების შესახებ ბრალდების მხარის მოთხოვნა დააკმაყოფილა.

გელა ნიორაძე სასამართლო პროცესზე ამტკიცებდა, რომ ის თავს იცავდა.

საწინააღმდეგოა მოკლულის ოჯახისა და მოწმეების პოზიცია – მოკლული გია გათენაშვილის ახლობლები ამტკიცებენ, რომ მას დაკავებულმა დამიზნებით ესროლა.

ცნობისთვის, დანაშაული კიკეთში შაბათს მოხდა – 500 დოლარის ვალის გამო დაწყებული დაპირისპირება ერთი ადამიანის მკვლელობითა და 5-ის დაჭრით დასრულდა.

ნიკა გვარამია: „არცერთი დამფუძნებელი არ მედავება, არავინ მედავება. ამიხსენით, ვინ მედავება?“

სამართლებრივი ფუნდამენტი ნებისმიერი ტიპის პასუხისმგებლობისა, მათ შორის სამოქალაქო სამართლებრივი, არ არსებობს. არცერთი დამფუძნებელი არ მედავება. არავინ მედავება. ამიხსენით, ვინ მედავება? ამის შესახებ „მთავარი არხის“ დირექტორმა ნიკა გვარამიამ სასამართლო სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, სამეწარმეო დანაშაულების მტკიცება უკიდურესად რთული და კომპლექსურია.

– იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფოს ზიანი არ ადგება, არამედ სამეწარმეო სისტემა არის დანაშაულის ობიექტი, მტკიცების ტვირთი ურთულესია. ასევე უმძიმესია პროკურატურის მიერ ამ საქმეებზე გამოსვლა, რადგან საჭიროებს სამეწარმეო, სამოქალაქო, ასევე ფინანსური სამართლის კარგ ცოდნას, რაც პროკურორებს არ აქვთ. როცა პროკურატურაში ვმუშაობდი, მაშინაც პრობლემა იყო ეს. მოგეხსენებათ, ნებისმიერი ეჭვი ბრალდებულის, მსჯავრდებულის სასარგებლოდ წყდება. ზუსტად ამიტომ, ამ ბრალდებების წრე ძალიან შეზღუდულია მსოფლიო მასშტაბით. მთავარი, რაც პროკურატურას არ თუ ვერ ესმის, იურიდიული პირის სამართალსუბიექტურობა დამოუკიდებლად არ არსებობს. სამეწარმეო სუბიექტის სამართალსუბიექტურობას ახორციელებენ მისი ბენეფეციარი მესაკუთრეები. დირექტორი ამას აკეთებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და მესამე პირებთან ურთიერთობაში, მაგრამ სამართალსუბიექტურობა მთლიანად არის ე.წ. დამფუძნებლებზე. დირექტორი პასუხისმგებელია მხოლოდ მის დროს მოქმედი დამფუძნებლების წინაშე. მე ვერ გავიგე, ვინ მედავება, მედავება სახელმწიფო, რომელმაც ჩანანაცვლა იურიდიული პირის სამართალსუბიექტურობის განსაზღვრისას ის ხალხი, ვის წინაშეც მე პასუხისმგებელი ვიყავი. ასეც რომ იყოს, როგორც ბრალდება მეუბნება, ვის წინაშე ვარ პასუხისმგებელი? ამიხსენით, ვინ მედავება. ვინ არიან ის ადამიანები, ვის წინაშეც პასუხისმგებლობა დავარღვიე? ამაზე განმარტება არ გაკეთებულა პროცესის არცერთ ეტაპზე.

დირექტორმა რაც არ უნდა ჩაიდინოს – „პორშე“ წაიღოს, ბინები წაიღოს, რა კონტრაქტიც არ უნდა დადოს, ასეც რომ იყოს ყველაფერი, როგორც ბრალდება გვეუბნება, მე ვის წინაშე ვარ პასუხისმგებელი? რაში მაინტერესებს სახელმწიფოს აზრი? ამას გარდა, სამოქალაქო სარჩელია ჩემ წინააღმდეგ და სწორედ ის არის განმსაზღვრელი და არა პროკურატურაში შეტანილი რაღაც განცხადება. საერთოდ არ ვიცი, ეს რა ფორმაა, როდესაც გვერდის ავლით სამეთვალყურეო საბჭოში ვიღაც პაატა სალია იღებს გადაწყვეტილებას, თუ შეიძლება, შეისწავლეთ გვარამიას საქმე. რა არის ეს, კონტროლის პალატა გამოიძახა თუ რას გვასწავლის ეს? არც აუდიტი ჩაუტარებია, არც სამეთვალყურეო საბჭოსთან ულაპარაკია. გულწრფელად გეტყვით, პასუხისმგებლობის სისხლისსამართლებრივი და სხვა ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივისაც კი, ფუნდამენტი არ არსებობს. სამართლებრივი ფუნდამენტი ნებისმიერი ტიპის პასუხისმგებლობისა, მათ შორის სამოქალაქო სამართლებრივი, არ არსებობს. არცერთი დამფუძნებელი არ მედავება. არავინ მედავება. ამიხსენით, ვინ მედავება? ერთადერთი ფუნდამენტი ჩემი სამართლებრივი პასუხისმგებლობისა შეიძლება იყვნენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც ჩემი დირექტორობის დროს იყვნენ დამფუძნებლები. ასეთი რამ არ არსებობს. შესაბამისად, ვერ ვიგებ, ვინ მედავება.

ამაზე განმარტება არ გაკეთებულა არცერთ ეტაპზე. ჩხიკვაძე ამბობს, რომ უნდა გამეთვალისწინებინა, ქიბარ ხალვაში შეიძლება გამხდარიყო მესაკუთრეო. ეს სად არსებობს? ვინ ქიბარ ხალვაში უნდა გამეთვალისწინებინა? – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

პოლიციამ თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, გურიასა და მესტიაში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბოლო პერიოდში თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, გურიასა და მესტიაში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს. დაკავებულია 4 პირი. ინფორმაციას უწყების პრესსამსახური ავრცელებს.

მათი ცნობით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1986 წელს დაბადებული ლ.მ., ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ცეცხლსასროლი იარაღი და მჭიდი ნივთმტკიცებად ამოიღო.

– სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მესტიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1971 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ს.ი. დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 12 ვაზნა ამოიღეს.

სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, უცხო ქვეყნის მოქალაქე – 1983 წელს დაბადებული ი.ბ. ახალქალაქში დააკავეს.

პოლიციამ დაკავებულის პირადი ნივთებისა და ავტომობილის ჩხრეკისას ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 11 ვაზნა ამოიღო.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1973 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მ.კ, ჩოხატაურში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში დააკავეს. პოლიციის მიერ ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში ჩატარებულ ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოღებულია: მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და 8 ვაზნა.

დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ბათუმის აეროპორტში სამხრეთ აფრიკიდან შემოტანილი 11 კილოგრამზე მეტი მარიხუანა ამოიღეს

სამართალდამცველებმა ბათუმის აეროპორტში 11 კილოგრამზე მეტი მარიხუანა ამოიღეს. დაკავებულია უცხო ქვეყნის მოქალაქე.

შსს-ს ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული უცხო ქვეყნის მოქალაქე ნ.დ. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს.

– მას ბრალად განსაკუთრებით დიდი ოდენობით მარიხუანის უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანა ედება.

დანაშაულები 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ნ.დ.-მ საქართველოში ნარკოტიკული საშუალება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან შემოიტანა.

სამართალდამცველებმა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში, ბრალდებულის ბარგის შემოწმების შედეგად, სამგზავრო ჩანთაში წინასწარ მოწყობილი სამალავიდან 11 კილო და 200 გრამი ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 273-ე პრიმა მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს, რაც დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანას, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით მარიხუანის უკანონო შეძენა-შენახვასა და გადაზიდვას გულისხმობს, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ირაკლი კობახიძის დედამ „ტვ პირველს“ სასამართლო დავა მოუგო

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის დედამ თამარ ზაალიშვილმა „ტვ პირველის“ წინააღმდეგ სასამართლო დავა მოიგო. ადვოკატი ქეთი ზანდუკელი ამბობს, რომ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ.

თამარ ზაალიშვილი განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის ყოფილი მოადგილეა. ის დავობდა 2021 წლის სიუჟეტის გამო, სადაც ნათქვამი იყო, რომ თბილისში მდებარე ერთ-ერთი სარდაფიდან თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ყალბ დიპლომებს გასცემდნენ. სიუჟეტის რესპონდენტები კი განმარტავდნენ, რომ ყალბ დიპლომებზე ხელს სწორედ ზაალიშვილი აწერდა.

ზაალიშვილი მორალური კომპენსაციის სახით ჟურნალისტების ნოდარ მელაძისა და მაკა ჩიხლაძისგან 5-5 ლარს მოითხოვდა, ხოლო ტელეკომპანიისგან – 5555 ლარს. როგორც ადვოკატი ზანდუკელი ამბობს, სასამართლომ მოთხოვნა სრულად დაუკმაყოფილა.

სარფსა და თბილისის აეროპორტში დიდი ოდენობით არადეკლარირებული თანხა გამოავლინეს

საბაჟო-გამშვებ პუნქტებში „სარფი“, და „თბილისის აეროპორტი“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოსა და თურქეთის მოქალაქეების როგორც ფიზიკური, ასევე, კუთვნილი ბარგის დეტალური დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული თანხა, ჯამში, 80.750 ევრო, 110.000 აშშ დოლარი და 12.600 თურქული ლირა გამოავლინეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, არადეკლარირებული თანხის საერთო რაოდენობამ, ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით, ჯამში 546.875,7 ლარი შეადგინა.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევი მოქალაქეები, სანქციის სახით (თანხის 10%-ის ოდენობა), ჯამში, 54.687,57 ლარით დაჯარიმდნენ.

დიდი ოდენობით სხვისი სასაქონლო ნიშნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენების ფაქტზე პასუხისგებაში ერთი პირი მისცეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით სხვისი სასაქონლო ნიშნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენების ფაქტზე, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში ერთი პირი მისცეს. ინფორმაციას ამის შესახებ საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, „TOYOTA“-ს სასაქონლო ნიშნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენების გზით, ავტომანქანის ძრავის აალების დაბალხარისხიან სანთლებს „TOYOTA“-ს მუყაოს კოლოფებში ფუთავდა, რომლის შემდგომ რეალიზაციასაც მის მფლობელობაში არსებულ, ქ. თბილისში მდებარე ავტონაწილების სავაჭრო ობიექტიდან ახდენდა.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამოღებულია საერთო ჯამში 611 ერთეული „TOYOTA“-ს სასაქონლო ნიშნით უკანონოდ ნიშანდებული აალების სანთელი.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

2022, 21 სექტემბერი, №186

აზერბაიჯანმა სომხეთს 95 სამხედროს ცხედარი გადასცა

აზერბაიჯანმა სომხეთს ბოლოდროინდელი კონფლიქტის შედეგად დაღუპული 95 სომეხი სამხედროს ცხედარი გადასცა. ინფორმაციას სომხური მედია ქვეყნის თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებს.

უწყების პრესსპიკერ არამ ტოროსიანის განცხადებით, აზერბაიჯანის ბოლო თავდასხმის შედეგად, საერთო ჯამში, 207 სამხედრო დაიღუპა ან დაიკარგა.

შეგახსენებთ, 17 სექტემბერს აზერბაიჯანმა სომხეთს 32 სამხედრო მოსამსახურის ცხედარი გადასცა.

ევროკავშირის საბჭომ უკრაინისთვის დამატებითი, 5 მილიარდი ევროს ოდენობის დახმარების გამოყოფა დაამტკიცა

ევროკავშირის საბჭომ გუშინ ოფიციალურად მიიღო გადაწყვეტილება უკრაინისთვის 5 მილიარდი ევროს ოდენობის დამატებითი მაკროფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ. ამის შესახებ ევროკავშირის საბჭოს პრესრელიზშია აღნიშნული.

– ევროკავშირი უკრაინის გვერდით დგას. ვასრულებთ ჩვენს დაპირებებს და ხელს ვუწყობთ იმის უზრუნველყოფას, რომ უკრაინის სახელმწიფომ და მისმა ძირითადმა ინფრასტრუქტურამ გააგრძელოს ფუნქციონირება, რუსეთის აგრესიული ომის მიუხედავად. ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხთა საბჭოს შემდეგ შეხვედრებზე დავაყენებ ინიციატივას დარჩენილი 3 მილიარდი ევროს გამოყოფაზე სწრაფი შეთანხმების მიღწევასთან დაკავშირებით, – განაცხადა ევროკავშირის თავმჯდომარემ, ჩეხეთის ფინანსთა მინისტრმა ზბინეკ სტანიურამ.

ევროკავშირის საბჭოში განმარტავენ, რომ აღნიშნული 5 მილიარდი ევროს მაკროფინანსური დახმარება უკრაინას გადაეცემა შეღავათიანი გრძელვადიანი სესხების სახით. ის არის 9 მილიარდი ევროს ოდენობის დახმარების პაკეტის ნაწილი, რომელიც ევროპულმა კომისიამ მაისში გამოაცხადა, ევროპულმა საბჭომ კი 23-24 ივნისს დაამტკიცა.

აღნიშნული ფინანსური დახმარება ჰუმანიტარული, ეკონომიკური განვითარების, საბაჟო და თავდაცვის სფეროებში გადანაწილდება.

უკრაინა სლოვენიიდან 28 ერთეულ M-55S ტანკს მიიღებს

სლოვენიის პრემიერ-მინისტრი რობერტ გოლობი და გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი უკრაინაში M-55S ტიპის 28 ტანკის გადაცემაზე შეთანხმდნენ, რის სანაცვლოდაც სლოვენია 40 ერთეულ გერმანულ სამხედრო აღჭურვილობას მიიღებს. ამის შესახებ სლოვენიის მთავრობის პრესსამსახური იუწყება.

მათი ინფორმაციით, რობერტ გოლობმა და ოლაფ შოლცმა სატელეფონო საუბრის დროს სხვა საკითხებთან ერთად უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიაც განიხილეს.

– უკრაინელი ხალხისადმი სოლიდარობის სულისკვეთებით პრემიერ-მინისტრი გოლობი და კანცლერი შოლცი ერთობლივ ქმედებებზე შეთანხმდნენ, რათა უკრაინულმა მხარემ 28 სლოვენიური M-55S ტიპის ტანკი მიიღოს. სლოვენია კი 40 ერთეულ გერმანულ სამხედრო სატრანსპორტო მანქანას მიიღებს, – აცხადებენ სლოვენიის მთავრობაში.

რუსეთის დუმა სამხედრო მობილიზაციის დროს ჩადენილი დანაშაულებისთვის სასჯელს ამკაცრებს

რუსეთის სახელმწიფო დუმამ მეორე და მესამე მოსმენით დაამტკიცა კანონპროექტი სასჯელის გამკაცრების შესახებ ისეთი დანაშაულებისთვის, როგორებიცაა დეზერტირობა, სამხედრო ქონების დაზიანება და დაუმორჩილებლობა, თუ ეს დანაშაულები ჩადენილია სამხედრო მობილიზაციის ან საბრძოლო სიტუაციების დროს.

Reuters-ის ცნობით, კანონპროექტში აღნიშნულია, რომ ნებაყოფლობითი ჩაბარება რუსი სამხედრო მოსამსახურეებისთვის დანაშაულად ითვლება და 10 წლით თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

კანონპროექტი იმ ფონზე დამტკიცდა, როდესაც რუსეთში მიმდინარეობს დებატები შესაძლო მობილიზაციის შესახებ.

კრემლმა გასულ კვირას განაცხადა, რომ უკრაინაში სამხედრო კამპანიის გასაძლიერებლად საერთო მობილიზაციის გამოცხადებასთან დაკავშირებით განხილვა არ მიმდინარეობს. ამასთან, რუსი პოლიტიკოსების ნაწილი სრული მობილიზაციის გამოცხადების ინიციატივით გამოდის.

ოკუპირებული ხერსონის ოლქის რუსეთის ფედერაციაში შესვლის თაობაზე რეფერენდუმი 27 სექტემბრამდე გაიმართება

ხერსონის ოლქის რუსეთის ფედერაციაში შესვლის თაობაზე რეფერენდუმი 23-დან 27 სექტემბრამდე გაიმართება. ამის შესახებ ოკუპირებული რეგიონის ადმინისტრაციის „ხელმძღვანელმა“ ვლადიმერ სალდომ განაცხადა.

სალდომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მან ხელი მოაწერა განკარგულებას ხერსონის ოლქის რუსეთის ფედერაციაში შესვლის შესახებ რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე.

– გაცნობებთ, რომ დადგენილების შესაბამისად, რეფერენდუმი ჩატარდება 2022 წლის 23 სექტემბრიდან 27 სექტემბრის ჩათვლით. განკარგულებით განისაზღვრება ხერსონის ოლქის ტერიტორიაზე კენჭისყრის ორგანიზებისა და რეფერენდუმის ჩატარების წესი. ამ წესების დარღვევისთვის ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაა, – განაცხადა მან.

ამავდროულად, ცნობილი ხდება, რომ ზაპოროჟიეს ოლქის რუსეთში შესვლის თაობაზე რეფერენდუმი, შესაძლოა, უახლოეს დღეებში ჩატარდეს. ამის შესახებ მოძრაობა „ჩვენ რუსეთთან ერთად ვართ“ თავმჯდომარე ვლადიმერ როგოვმა განაცხადა.

რუსულმა ძალებმა ბახმუტი დაბომბეს

რუსულმა ძალებმა დონეცკის ოლქში, ქალაქ ბახმუტზე საჰაერო დარტყმა განახორციელეს. ინფორმაციას უკრაინული მედია დონეცკის საოლქო-სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პაველ კირილენკოზე დაყრდნობით ავრცელებს.

მისი განცხადებით, რაკეტა მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსს მოხვდა, ნანგრევების ქვეშ კი, სავარაუდოდ, ორი ადამიანი იმყოფება.

– დაახლოებით ღამის პირველ საათზე მტრებმა ბახმუტზე ავიაიერიში მიიტანეს, რის შედეგადაც მაღალსართულიანი კორპუსის სამი სადარბაზო ჩამოინგრა. ნანგრევების ქვეშ, სავარაუდოდ, ორი ადამიანია, ადგილზე მაშველები მუშაობენ, – წერს კირილენკო.

იზიუმთან აღმოჩენილი მასობრივი საფლავიდან ექსჰუმაცია 146 ცხედარს ჩაუტარდა. მათგან ორი ბავშვია

უკრაინელმა ექსპერტებმა აღმოსავლეთ უკრაინაში, იზიუმის მახლობლად, მასობრივ საფლავში აღმოჩენილი 146 ცხედრის ექსჰუმაცია განახორციელეს. ამის შესახებ ხარკოვის ოლქის გუბერნატორმა ოლეგ სინეგუბოვმა განაცხადა. მისი თქმით, ექსჰუმირებულებიდან უმეტესობა მშვიდობიანი მოქალაქეა. მათ შორის ორი ბავშვია.

შეგახსენებთ, მასობრივ საფლავში სულ დაახლოებით 450 ცხედარია აღმოჩენილი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებსა და ხერხემალში მარილების დაგროვება, რევმატიული სახსრების ანთება, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას ნადგურდება სოკო. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში წელზე, მუხლებზე, სახსრებზე. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები, შეშუპება. მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლის კანის გარქვანება, ქუსლებზე ნახეთქები, ბუასილის კვანძების, ნაწოლების, ინსულტის შემდგომი სისუსტე. **გამოყენების წესი:** მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში. მცირდება ტკივილები, შეშუპება მუხლის ტროპიკული წყლულის არსებობის, ვარიკოზული ვენების გაფართოების დროს. პრეპარატის გავლენით წყლულები იწმინდება და ჩქარდება მათი შეხორცება. თანდათან ქრება თრომბები.

სპრეი მენტორი 7

გამოიყენება მავნე რესპირატორული ვირუსების, გრიპის დასამარცხებლად, გაცივებისას ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად, ნახველის გასათხელებლად.

სპრეის გამოყენების შედეგად ნადგურდება მავნე ბაქტერიები, უმჯობესდება სუნთქვა, მცირდება/წყდება გამონადენი ცხვირიდან, უმჯობესდება ჯანმრთელობა.

შექმნილია ანტიალერგიული მცენარეებისგან.

მიღების წესი: კარგად გავითავისუფლოთ ცხვირის არხები გამონადენისგან და შევისხუროთ სპრეი ორივე ნესტოში, ასევე ყელში.

☎ 599-73-48-21.

საქართველომ ვარჯიში დაიწყო, მაკედონია დანაკლისით მოდის

საქართველოს ნაკრებმა უეფას ერთა ლიგის ც დივიზიონის ჯგუფური ეტაპის დასკვნითი ორი მატჩისთვის მზადება დაიწყო. ვილი სანიოლის გუნდი 23 სექტემბერს თბილისში ჩრდილოეთ მაკედონიას უმასპინძლებს, ხოლო 3 დღის შემდეგ სტუმრად გიბრალტარს შეხვდება.

ვილი სანიოლის გუნდმა პირველ დღეს არასრული შემადგენლობით ივარჯიშა, რადგან საწვრთნელ პროცესში მხოლოდ 11 ფეხბურთელი მონაწილეობდა: გიორგი ლორია, გიორგი მამარდაშვილი, ლევან შოვნაძე, ოთარ კაკაბაძე, სოლომონ კვერკველია, ვაკო ყაზაიშვილი, საბა ლობჟანიძე, ანზორ მექვაბიშვილი, ვლადიმერ მამუჩაშვილი, ზურიკო დავითაშვილი და ბუდუ ზივზივაძე.

ლეგიონერთა ნაწილი, რომელმაც კვირას ითამაშა, ნაკრებს გუშინ შეუერთდა და უფრო მოსათელი ვარჯიში ჰქონდა.

მთავარი მწვრთნელის მიერ დასახელებულ პირველად შემადგენლობაში ერთი იძულებითი ცვლილებაა. დინამო თბილისის წევრმა ჯიმი ტაბიძემ კრისტალბეთ ეროვნული ლიგის ბოლო ტურში სათამაშო ეპიზოდში შეჯახებისას ტვინის შერყევა მიიღო და ეროვნულ ნაკრებს ვერ დაეხმარება. ჯიმი ტაბიძეს საქართველოს ნაკრების განაცხადში ბათუმის დინამოს წევრი გრიგოლ ჩაბრაძე შეცვლის.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა:

მეკარეები: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლევან შოვნაძე (სამგურალი);

მცველები: გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი), დავით ხოჭოლავა (კოპენჰაგენი, დანია), საბა კვერკველია (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), ლუკა ლოჩოშვილი (კრემონეზე, იტალია), გურამ გიორბელიძე (ზაგლებიე, პოლონეთი), ირაკლი აზაროვი (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), გრიგოლ ჩაბრაძე (დინამო ბთ);

ნახევარმცველები: საბა ლობჟანიძე (ჰატაი, თურქეთი), გიორგი წიტაიშვილი, ნიკა კვეკვესკირი (ორიენტ ლეხი, პოლონეთი), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო თბ), გიორგი აბურჯანია (ჟილ ვისენტე, პორტუგალია), გიორგი ჩაკვეტაძე (სლოვანი, სლოვაკეთი), ვლადიმერ მამუჩაშვილი (დინამო ბთ), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი), ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია), ვაკო ყაზაიშვილი (ულსანი, ს.კორეა);

თავდამსხმელები: გიორგი მიქაუტაძე (მეცი, საფრანგეთი), ბუდუ ზივზივაძე (ფეჰერვარი, თურქეთი).

თავად მაკედონიის საფეხბურთო ნაკრებს, რომელსაც ერთა ლიგის ც დივიზიონის მე-4 ჯგუფში საქართველოსა და ბულგარეთთან მატჩები ელის, სერიოზული დანაკლისი აქვს.

როგორც ირკვევა, მომავალ თამაშებში მონაწილეობას ვერ მიიღებს ნაკრების კაპიტანი სტეფან რისტოვსკი, რომელიც ზაგრების დინამოს ღირსებას იცავს. გამოირიცხა ინგლისური ბარნლის შემტევის დარკო ჩურლინოვის თამაშიც და გუნდს ასევე გამოაკლდა თურქული ისტანბულის ფორვარდი ვალონ ეტემიც.

ჯერჯერობით უცნობია, ტრავმირებული ტრიოს ნაცვლად მაკედონიელთა თავკაცი ბლაგოია მილევსკი ვინმეს დაიმატებს თუ არა, ამ დროისთვის კი მის განკარგულებაში 24 ფეხბურთელია.

ჩრდილოეთ მაკედონიის ნაკრები:

მეკარეები: სტოლე დიმიტრიევსკი (რაიო ვალეკანო), დამიან შიშკოვსკი (დოქსა), კრისტიან ნაუმოვსკი (შკუპი), იგორ ალეკსოვსკი (რაბოტნიჩკი);

მცველები: დარკო ველკოვსკი (ალ ეტიფაკი), ვისარ მუსლიუ (ინგოლშტადტი), ეზგან ალიოსკი (ფენერბაჰჩე), ტოდორ ტოდოროვსკი (სუმგაითი), სტეფან აშკოვსკი (ლამია), ნიკოლა სერაფიმოვი (ფეჰერვარი), გოკო ზაიკოვი (ვორსკლა), ბოიან დიმოვსკი (პან.აკადემია);

ნახევარმცველები: ელიფ ელმასი (ნაპოლი), ენის ბარდი (ტრაბზონი), არიან ადემი (დინამო ზ), ენის ფაზლაგიკი (დუნაისკა სტრედა), აგონ ელეზი (ვარაჟდინი), იანი ატანასოვი (ჰაიდუკი), სტეფან სპიროვსკი (პიუნიკი);

თავდამსხმელები: მილან რისტოვსკი (ტრნავა), ბოიან მიოვსკი (აბერდინი), ალეკსანდარ ტრაიკოვსკი (ალ ფეიჰა), დორიან ბაბუნსკი (დებრეცენი), ლიუპჩე დორიევი (შკენდია).

შეგახსენებთ, რომ 9 ივნისს სკოპიეში მეტოქე ბუდუ ზივზივაძის, ხვიჩა კვარაცხელიასა და ოთარ კიტეიშვილის გოლებით 3:0 დაამარცხა.

ურთიერთშეხვედრებში გუნდებს თითო მოგება და 2 ფრე აქვთ.

ჯგუფის დასრულებამდე ორი ტურით ადრე საქართველო 10 ქულით ლიდერობს, ჩრდილოეთ მაკედონიას კი 7 ქულა აქვს და მეორეა.

საქართველოს ნაკრებს ბ ლიგის საგზურის მოსაპოვებლად ფრეც ჰყოფნის. გარდა ამისა, პირველი ადგილით საქართველოს ნაკრები ევრო 2024-ის ფლეი ოფსაც გაინაღდებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ნიკა ქავთარაძე: „ბრაზი და ზიზღი უნდა დავამარცხოთ!“

ასე მიაჩნია იუმორისტ ნიკა ქავთარაძეს და დარწმუნებულია, რომ თუკი ამას შევძლებთ, აუცილებლად შევქმნით ჯანსაღ საზოგადოებას:

– მინდა, საჯაროდ დავდო პირობა: მე, ნიკა ქავთარაძე, ყველაფერს გავაკეთებ, ძალას, ენერგიას, ნიჭს არ დავიშურებ, მაქსიმუმს ჩავდებ იმაში, რომ ამ ქვეყანაში ერთმანეთის უმიზეზო შეურაცხყოფა, ლანძღვა და დამცირება გახდეს სირცხვილი!

მე ვიქნები მუდმივად მაგალითი ადამიანებს შორის ადამიანური ურთიერთობის!

ბრაზი და ზიზღი უნდა დავამარცხოთ!

ოღონდ მანამდე უნდა მივხვდეთ ამ ბრაზისა და ზიზღის მიზეზს, ის მიზეზი მოვსპოთ და მერე დავამარცხოთ ეს ბრაზი და ზიზღი!

უკიდეგანო ცინიზმი და ადამიანის უმიზეზოდ დამცირება უნდა იყოს მხოლოდ უზრდელი რეგვენების თვისება!

ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ სიყვარულს, კაცთმოყვარეობას, სოლიდარობას, გაგებას!

ასე შევქმნით საზოგადოებას, რომელსაც ვერაფერი შეუშლის ხელს – იყოს თავისუფალი და განვითარებული!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

საბა საზონოვის საქართველოს ნაკრებში თამაშის გამო აჟიოტაჟი არ წყდება

ბოლო დღეების სალაპარაკო თემად საბა საზონოვის საქართველოს ნაკრებში თამაში იქცა. როგორც უკვე იცით, სექტემბრის სანაკრებო პაუზის პერიოდში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს. რამაზ სვანაძის გუნდი 24 სექტემბერს ქალაქ კუვლიანში პორტუგალიის ახალგაზრდულ ნაკრებს ეთამაშება, ხოლო 27 სექტემბერს სტამბოლში თურქეთს ესტუმრება.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მოსკოვის დინამოს 20 წლის ცენტრალური მცველი საბა საზონოვი საქართველოს 21 წლამდე ნაკრებში ითამაშებს. საზონოვსაც დებიუტი სწორედ ზემოთ ნახსენებ მატჩებში ექნება.

საბას დედა ქართველი ჰყავს, მამა – რუსი. საქართველოს ხშირად სტუმრობდა. სკოლაშიც დადიოდა, ლაპარაკობს ქართულად და ავტოგრაფის დროს ხელსაც ქართულად აწერს.

საზონოვის ჩვენს ნაკრებში თამაშზე საუბარი დიდი ხანია დაწყებულია და ამიერიდან 20 წლის ფეხბურთელი საქართველოს სახელით ითამაშებს.

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ეროვნულ გუნდში თამაში გარანტირებული აქვს. ფიფას კანონმდებლობით, ფეხბურთელი ნაკრებს ვეღარ შეიცვლის, თუ ეროვნულ გუნდში მინიმუმ ორი მატჩი აქვს ჩატარებული. შედეგად, საზონოვს, ისევე, როგორც რუსეთის მოქალაქეს, იქაურ ნაკრებში თამაშის უფლებაც აქვს და, თუ იქ მოასწრო ნაკრებში ორი მატჩის გამართვა, ავტომატურად ჩვენთან ვეღარ ითამაშებს.

ალექსანდრე იაშვილი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი:

– ეროვნულ გუნდებში მიმდინარე სელექციის შესახებ აზრი არაერთხელ დავაფიქსირეთ. ჩვენი პოზიცია და საერთო შეხედულებები უცვლელია. ამასთანავე, ვთვლით, რომ ქართველ ნიჭიერ ფეხბურთელებს სანაკრებო სისტემაში განვითარების შანსი ყოველთვის უნდა მივცეთ, რათა მათი პროფესიული წინსვლა ეროვნულ გუნდებსა და მთლიანად ქართულ ფეხბურთს გამოადგეს.

საბა საზონოვს სამწვრთნელო შტაბთან ერთად დიდი ხანია, ვაკავირდებით, ადრეც გვქონდა მასთან და მის ოჯახთან კომუნიკაცია. საბას დედა ქართველია და თვითონ ფეხბურთელიც საქართველოს მოქალაქე გახლავთ. გვიხარია, რომ საბამ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვა. ნამდვილად ნიჭიერია და ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ძალა იქნება. ახლა უკვე ველით საწვრთნელი პროცესის დაწყებასა და 21-წლამდელების იმ მნიშვნელოვან მატჩებს, რომლებიც პორტუგალიასა და თურქეთში გველოდება.

საზონოვის გადაწყვეტილებამ, ეთამაშა საქართველოს სახელით, რუსეთში დიდი გამოხმაურება გამოიწვია და იქაურმა მედიამ დეტალები გაახმაურა.

აი, რას წერს რუსული მედია:

– საზონოვს ნაკრებში თამაში რუსეთის საფეხბურთო კავშირმა (რსკ) საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაზე (სფფ) ადრე შესთავაზა. რუსული მხარე ფეხბურთელისგან საპასპორტო მონაცემებსა და სხვა დოკუმენტაციას ითხოვდა. თუმცა, რეალურად, ნაკრებში გამოძახებამდე საქმე არ მისულა.

საზონოვი რსკ-გან აქტიურ ქმედებებს დიდხანს ელოდა და ნაკრებში გამოძახებაზე უარის თქმას არ აპირებდა. თუმცა, მალე სფფ-დან შეეხმიანნენ, რომლებიც გაცილებით აქტიურ ნაბიჯებზე გადავიდნენ.

საბა საქართველოში მიიწვიეს და არსებული პერსპექტივები აუხსნეს. გადაწყვეტილება საზონოვმა ამის შემდეგ მიიღო. გასულ კვირას, როდესაც რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში გამოიძახეს, არჩევანი უკვე გაკეთებული ჰქონდა.

თავად ფეხბურთელის მამა, ანდრეი საზონოვი კი განსხვავებული აზრის არის და თვლის, რომ საბა ამჟამადაც მშობლიურ ნაკრებში თამაშობს.

ანდრეი საზონოვი:

– საბა იმ ოჯახში დაიბადა, სადაც დედა ქართველია, მამა – რუსი. საბას ორი სამშობლო აქვს, ბავშვობაში ორივე ქვეყანაში ცხოვრობდა, ორ ენაზე საუბრობს. პირველ კლასშიც საქართველოში შევიდა, მერე გადმოვიდა რუსეთში. საქართველოს მოქალაქეობა საფეხბურთო კარიერამდე დიდი ხნით ადრე მიიღო. რუსეთის 17 წლამდე ნაკრებში გამოიძახეს, მაგრამ მაშინ შეკრებაზე კოვიდის გამო ვერ წავიდა. ჩვენ ვოცნებობდით რუსეთის ეროვნულ ნაკრებზე, რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებზეც, რადგან საბა რუსული ფეხბურთის სისტემაში გაიზარდა, ამ სკოლის მოსწავლეა და ყოველთვის ამბობდა, რომ რუსეთის ნაკრებში თამაში უნდოდა.

2021 წელს პირველი კონკრეტული შეთავაზება საქართველოს ნაკრებისგან მოვიდა. მანამდე რუსეთის ნაკრებისგან მხოლოდ პასპორტის მონაცემებსა და სავიზო საკითხებზე იყო საუბარი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები კი საბას პირადად შეხვდნენ, ისაუბრეს, დასახეს პერსპექტივები და დაარწმუნეს. რუსეთის ნაკრებისგან ასე არ ყოფილა. გადაწყვეტილების ბოლო წვეთი ის იყო, რომ საბა ვერ მოხვდა რუსეთის ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში.

საბას ორი სამშობლო აქვს და ერთ-ერთი მშობლის სამშობლო აირჩია. ამაში ცუდსა და კრიმინალურს ვერაფერს ვხედავ. ახლა იწყებენ ღალატზე საუბარს, მაგრამ ეს ღალატია? რა თქმა უნდა, არა. რუსეთის ნაკრებისგან მოწვევას დიდი ხანი ველოდით, მაგრამ კონტაქტები მხოლოდ ადმინისტრატორთან იყო, რომელმაც ვერ აგვიხსნა, რატომ ითხოვდა გამუდმებით პასპორტის მონაცემებს, ტანსაცმლის ზომასა და ა.შ. მაგრამ მისგან პასუხი ნაკრებში გამოძახებაზე ვერასდროს მივიღეთ.

რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის, გალაკტიონოვის სიტყვები? ახალგაზრდული ნაკრებიდან მოწვევა არ ყოფილა. ეს ცილისწამებაა. საბამ რუსეთის ნაკრებზე უარი თქვა, რადგან საქართველოს ნაკრების შეთავაზება ჰქონდა მიღებული და ეს ნორმალური გადაწყვეტილებაა.

უფროსი საზონოვის თქმით, გაირკვა ისიც, რომ საზონოვი რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში იმის შემდეგ გამოიძახეს, როდესაც შეიტყვეს, რომ უკვე საქართველოს ნაკრებში აპირებდა თამაშს.

საზონოვის საქართველოს 21 წლამდე ნაკრებში გამოძახებასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია ცნობილმა რუსმა კომენტატორმა ალექსეი ანდრონოვმაც დააფიქსირა და დაამატა, რომ შემდეგი მოსკოვის ლოკომოტივის 22 წლის ნახევარმცველი კონსტანტინე მარადიშვილი იქნება.

ალექსეი ანდრონოვი:

– აქ არ არის კითხვა (ნორმალური ადამიანებისთვის) „რა მოხდა“. საკითხავია – „როგორ“. ის, ინსაიდერებმა არ დამაღალატეს და დინამოს მცველი საბა საზონოვი საქართველოს ნაკრების ვარიანტს რომ განიხილავდა, ჯერ კიდევ აგვისტოს ბოლოს შევიტყვე.

რაც საზონოვმა გააკეთა, აბსოლუტურად გასაგებია. მან საქართველოს სპორტული მოქალაქეობა მიიღო, რისი უფლებაც ჰქონდა. უარი თქვა რუსეთისაზე იმის გამო, რომ მისი ფასი 0-ის ტოლია (ვგულისხმობ სპორტულ და საფეხბურთო). ლოდინს აზრი არა აქვს. ევრო 2024 არ იქნება. ბოსნიასთან მატჩი 95%-ით არ იქნება. ყირგიზეთთანაც კი პრობლემებია... ფეხბურთელი კი უნდა თამაშობდეს, მათ შორის, ნაკრებშიც. მით უმეტეს, საქართველო ერთა ლიგაში ბრწყინავს (10 ქულა 4 მატჩში), ჰყავთ ბრწყინვალე ახალგაზრდა თაობა ხვიჩა კვარაცხელიას მეთაურობით...

მაგრამ, საკითხავია, როგორ მოხდა ეს. არ შეიძლებოდა მწვრთნელისთვის დარეკვა? პირადად საბასგან თუ არა, მისი აგენტისგან? რა იყო აქ დასაძრახი? სწორ ადგილზე რეპუტაცია დაკარგა...

პ.ს. ჩემი ინფორმაციით, შემდეგი კონსტანტინე მარადიშვილი იქნება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მატიას პოგბა ძმისთვის ფულის გამოძალვის გამო დაიჭირეს

საფრანგეთის ნაკრებისა და ტურინის იუვენტუსის ნახევარმცველის პოლ პოგბას უფროსი ძმა მატიას პოგბა საფრანგეთის პოლიციამ დაიკავა და ბრალად ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად გამოძალვა და დანაშაულის ორგანიზება ედება.

ბრალი კიდევ ოთხ ეჭვმიტანილს წაუყენეს: მათ შორის ადამიანის გატაცებაში (ამ მუხლით მატიას პოგბა მოწმედ გადის) და სასამართლო პროცესამდე პატიმრობაში დარჩებიან.

უფროსი პოგბას ადვოკატი აცხადებს, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებენ და ხაზი გაუსვა იმას, რომ მის კლიენტს სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია.

პოლ პოგბამ ადრე განაცხადა, რომ ორგანიზებული დაჯგუფების მხრიდან გამოძალვისა და მუქარის მსხვერპლი გახდა. ევროპულ მედიაში იწერებოდა, რომ ფეხბურთელის ძმა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრია და შანტაჟით ცდილობს, პოლ პოგბას 13 მილიონი ევრო გამოსძალოს.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იუოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

რუსეთი მომავალი ევროპიერველობიდანაც მოკვეთეს

უკრაინის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ანდრეი პავლენკომ განაცხადა, რომ ევრო 2024-ის წილისყრისას რუსეთის საფეხბურთო ნაკრები არ იქნება. წილისყრა კი 9 ოქტომბერს გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტში გაიმართება.

„რუსები, უმჯობესია, აღარ მოემზადონ. უკვე მოთხოვნაა, რომ რუსეთი 9 ოქტომბერს გერმანიაში არ იქნება. მინიმუმ 2024 წლის ბოლომდე მათ საერთაშორისო მატჩები არ ექნებათ. ევრო 2024 რუსეთის გარეშე ჩაივლის“, – წერს პავლენკო საკუთარ სოციალურ ქსელში.

ევრო 2024 14 ივნისიდან 14 ივლისის ჩათვლით გაიმართება და 24 ქვეყნის ნაკრები მიიღებს მონაწილეობას.

რუსეთი მანამდე ფიფამ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიდან ჩახსნა, ხოლო უეფამ – 2022-23 წლების ევროტურნირებიდან.

ფუტსალის ნაკრებმა ლიეტუვა დაამარცხა

საქართველოს ფუტსალის ნაკრები 8 ოქტომბერს მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრას თბილისში ბელგიის წინააღმდეგ გამართავს, ხოლო 12 ოქტომბერს ავსტრიაში სტუმრად ითამაშებს. ავთო ასათიანის გუნდი ამ მატჩებისთვის ლატვიის დედაქალაქში რიგის თასზე ემზადება.

ჩვენმა პირველი მატჩი გამართა და ლიეტუვა 6:3 დაამარცხა. პირველი ტაიმი სიმი საიოტის დუბლითა და ირაკლი თოდუას გოლით 3:2 მოიგო. შესვენების შემდეგ კი საიოტიმ ჰეთ-თრიქი შეასრულა, თითო გოლი კი ვილიანისა და შოთა თოფურიას ანგარიშზეა.

რიგაში მიმდინარე ტურნირის დასკვნით შეხვედრას საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები ლატვიის წინააღმდეგ გამართავს.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ქართველი კომიკოსი; 2. კიევის მერი; 3. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 4. ფარმაცევტული კომპანია „ფაიზერის“ სათავო ოფისი აშშ-ში; 5. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირის“ პერსონაჟი; 7. ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე გავრცელებული ცხვარი; 11. მოკლეფეხებიანი და გრძელტანიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 12. სხვადასხვა კლასის სამგზავრო ვაგონებისგან შედგენილი მატარებელი; 13. ფირმა „ადიდასის“ დამფუძნებელი; 14. გულის ერთ-ერთი ნაწილი; 15. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 17. კვერცხწასმული და თონეში გამომცხვარი ტკბილი პური; 19. ყურძნის არაყი.

თარაზულად: 5. ახალშობილი ბატკნის ხუჭუჭბეწვიანი ტყავი; 6. ქართველი კომპოზიტორი; 8. საზღვაო გადაზიდვების პირობების შემცველი ხელშეკრულება; 9. შვედური ავტომობილი; 10. საქსოვი მანქანების გამომგონებელი ფრანგი ინჟინერი; 11. ყველაზე დაბალი რეგისტრის სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 13. თხევადი საწვავისა და ბალასტის ავზები გემზე; 14. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საერთაშორისო ხელშეკრულება; 16. „ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟი; 18. იმრე კალმანის ოპერეტა; 20. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში; 21. ორგანიზმის საპასუხო მოქმედება გარეგან ან შინაგან გაღიზიანებაზე.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰუნდაი; 2. ეგზემა; 3. ვარჯი; 5. ვეძა; 6. დალესი; 8. იადონი; 11. მაჟესტიკი; 13. გლუკოზა; 14. იაშვილი; 15. მოდრიჩი; 19. დოჟი.

თარაზულად: 1. ჰაჯიბეკოვი; 4. ჰონვედი; 7. ნოვრუზი; 9. ჯაკარტა; 10. იმამი; 12. პროექტი; 16. რიგოლეტო; 17. პუნსონი; 18. კვაზიმოდო; 20. კამვოლი; 21. დალი; 22. მიუზიკლი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ხანძთა; 2. ალგეთი; 3. ტელფერი; 4. ბედლამი; 5. რემისია; 7. გულჩორა; 11. ბუუჟი; 12. აიაქსი; 13. კაზუარი; 14. გეიზერი; 15. გუცული; 17. ანხელი; 19. ქისი.

თარაზულად: 5. რაფაელი; 6. გორენიე; 8. თული; 9. ვეკუა; 10. სოკარი; 11. ბორი; 13. კალაჰარი; 14. გიუნი; 16. ჩაუქი; 18. შოუდუ; 20. რაფსოდი; 21. ლაქლაქი.

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

21 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8462

ევრო — 2.8482

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2552

100 რუსული რუბლი — 4.7400

ამინდის პროგნოზი 21 სექტემბრისთვის

შოთა არველაძე, შესაძლოა, ჰალ სიტიდან გაათავისუფლონ

ჰალ სიტის მთავარი მწვრთნელი შოთა არველაძე, შესაძლოა, უახლოეს დღეებში გაათავისუფლონ, რადგან მისმა გუნდმა ბოლო 4 შეხვედრა წააგო და სატურნირო ცხრილში ისინი მე-20 ადგილზე არიან. არველაძეს ჯერჯერობით ამ თემაზე კომენტარი არ გაუკეთებია და, შესაძლოა, მას კიდევ ცოტა ხანი აცადონ, თუმცა ჰალ სიტი ბოლო ადგილზე დარჩება, მაშინ ქართველს თანამდებობაზე დიდხანს არ გააჩერებენ.

გიორგი მამარდაშვილმა ვალენსიასთან კონტრაქტი გაახანგრძლივა

ვალენსიის ქართველმა მეკარე გიორგი მამარდაშვილმა გუნდთან კონტრაქტი გაახანგრძლივა და ის, სავარაუდოდ, გუნდში 2027 წლამდე დარჩება, რადგან მისი გამოსასყიდი თანხა 100 მილიონი ევროა. მამარდაშვილი ესპანეთში ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ ითვლება და მან უკვე გაინაღდა ვალენსიის ძირითად შემადგენლობაში ადგილი.

ანჩელოტი: „რეალს სუსტი წერტილები არ აქვს“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ რეალი თითქმის სრულყოფილია და მათ მხოლოდ ამის დამტკიცება დარჩათ როგორც ევროპაში, ასევე ესპანეთში: „რეალმა ყველას ანახა თავისი ძალა და სეზონის ასეთი სტარტი შემთხვევითი არ არის. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ დომინირება და ყველას ვაჩვენოთ, რომ რეალისთვის შეუსრულებელი მისია არ არსებობს“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

გოგონა ბიჭს ეკითხება:
– შენი აზრით, ჩემი შეყვარება შეიძლება?
– ვფიქრობ... კი.
– მერე, რაღას ელოდები???

●●●

ქალიშვილი დედას ეკითხება:
– დედიკო, ფეხშიშველი სიარული გიყვარს?
– ჰო, შვილო.
– მაშინ სასეირნოდ შენი ფეხსაცმლით წავალ.

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:
– შენი ცოლი რომ სიმღერას იწყებს, შენ გარეთ რატომ გამოდიხარ?
– არ იფიქრონ, რომ ვაწამებ...

●●●

საბავშვო ბაღში ერთი ბავშვი მეორეს ეკითხება:
– შენ მშობლებს მულტფილმების ეშინიათ?
– არა.
– ჩემებს კი ეშინიათ. როგორც კი მულტფილმი დაიწყება, საწოლში წვებიან, თავზე საბანს დაიფარებენ და კანკალებენ...

●●●

გიგი სკოლის დირექტორის კაბინეტში შედის და ეუბნება:
– ბატონო დირექტორო, მასწავლებელმა გამომაგდო და ასე მითხრა, ეშმაკებამდე გზა გქონიაო...
– მერე?
– ჰოდა, მეც მოვედი...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მარინა კახიანი 65 წლის გახდა

რუსთაველის თეატრის მსახიობი მარინა კახიანი იუბილარია. მას 65 წელი შეუსრულდა. იუბილარი ხელოვანი წლებია, რუსთაველის თეატრის მსახიობი და ათასობით მაყურებლის რჩეული არტისტია.

მაყურებლის აზრით, მარინა კახიანი ყველასგან განსხვავებული, სახასიათო, დრამატული პერსონაჟების შემქმნელია. მისი ფართო დიაპაზონისა და მრავალმხრივი არტისტიზმის გამოხატულება ძლიერი ნებისყოფის, მარტოსული და ტრაგიკული ბედის მქონე ქალთა სახეებია შექსპირის, შილერის, ევრიპიდესა და გარსია ლორკას პიესებში.

ყველასათვის საყვარელმა მსახიობმა პროფესიული განათლება ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიულ სასწავლებელსა და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში მიიღო. იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, შემდეგ შოთა რუსთაველის თეატრის მსახიობი გახდა და წლებია, მისი ერთგულია. თუმცა იუბილარმა მსახიობმა ითამაშა თავისუფალი თეატრის სცენაზეც, თეატრალურ სარდაფშიც, ბათუმის თეატრშიც.

თეატრალური კარიერის გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მარინა კახიანის კინოკარიერა – მან არაერთ ფილმსა თუ სერიალში ითამაშა და მაყურებელს თავი სამუდამოდ დაამახსოვრა.

არაერთი ჯილდოსა და პრემიის მფლობელი მსახიობისთვის ყველაზე გამორჩეული ჯილდო მაყურებლის სიყვარულია, რომელიც ნამდვილად არ აკლია და ამას ყოველთვის და ყველგან გრძნობს.

ხატია შამუგია და ბაჩო ქაჯაია დილის გადაცემას წაიყვანენ

მსახიობი ბაჩო ქაჯაია და რადიოწამყვანი ხატია შამუგია დილის გადაცემის წამყვანები გახდნენ.

ხატია და ბაჩო ტელეკომპანია „ტვ პირველის“ გუნდს შეუერთდნენ და ამიერიდან ყოველ დილით, 9 საათზე, მაყურებელს ბევრ საინტერესო სიახლეს გააცნობენ.

რეზო გაბრიაძის პიესის მიხედვით სპექტაკლი დაიდგა

გრიბოედოვის თეატრში რეჟისორის, მხატვრისა და მწერლის რეზო გაბრიაძის პიესის მიხედვით სპექტაკლი დაიდგა.

თეატრი ახალ სეზონს სწორედ ამ წარმოდგენის პრემიერით გახსნის. 23 სექტემბერს მაყურებელი რეჟისორ ანდრო ენუქიძის ნამუშევარს იხილავს.

ტრაგიკომედიაში „რა სევდაა ხეივნის ბოლოს!“ მთავარ როლს ირინა მეღვინეთუხუცესი ასრულებს.

სპექტაკლში ასევე მონაწილეობენ მსახიობები სლავა ნათენაძე, არჩილ ბარათაშვილი, ოლეგ მჭედლიშვილი.

ალეკო ხომერიკის პრემია დაარსებულია

ცნობილი ტენორის ალეკო ხომერიკის პრემია დაარსებულია. სასიხარულო ინფორმაცია ოპერის მომღერალმა თამარ ივერმა გაავრცელა:

– მიხარია, რომ „ალეკო ხომერიკის პრემია“ დაარსდა. ეს ჩემი იდეა, დიდი სურვილი და ინიციატივა იყო. განუზომელია ალეკო ხომერიკის წვლილი ბათუმში საოპერო მუსიკის განვითარებაში. შეუფასებელია ის ოპერის ოქროს ხანა, რომელიც ჰქონდა ქალაქ ბათუმს 1993-2000 წლებში და ეს ყოველივე უშუალოდ ბათუმის საოპერო თეატრის დამფუძნებლის, ალეკო ხომერიკის დამსახურება იყო. ასევე განუზომელია მისი უზარმაზარი წვლილი ახალგაზრდა მომღერლების დახმარება-ხელშეწყობაში. მათ შორის ერთ-ერთი ადამიანი, რომელიც ბატონმა ალეკომ დაარწმუნა, რომ ის დიდი როლებისა და დიდი თეატრებისთვის იყო მოწოდებული, თავად მე გახლავარ.

ამიერიდან, ბატონი ალეკოს ოჯახის გადაწყვეტილებით, ყოველ კონკურსზე ერთი მომღერალი გახდება მისი პრემიის ლაურეატი. ეს არის ფულადი პრიზი 1000 დოლარის ოდენობით.

მადლობა ჩვენს შესანიშნავ ტენორს, მაესტროს აღზრდილსა და „შვილობილს“, ირაკლი კახიძეს, ამ პრემიის დაფინანსებისთვის. პრემიის მისი მხრიდან დაფინანსება მისი დაჟინებული სურვილი იყო, რისთვისაც ბატონი ალეკოს ოჯახი დიდ მადლობას უხდის.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

21 სექტემბრისთვის



ვერძი – კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის, დიდია მოტყუების ალბათობა. ენერგია დაზოგეთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. ცდუნებას ნუ აჰყვებით. **კურო** – ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ტყუპები** – არაკეთილისმყოფელი, მძიმე დღეა. მიღებული ინფორმაცია აუცილებლად საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საღამო ბუნებაში გაატარეთ. **კირჩხიბი** – კრიტიკული დღეა. სულიერ წონასწორობას უსიამოვნო ინფორმაცია დაგირღვევთ. თუმცა ეს მოდუნების საშუალებას არ მოგცემთ. სიტუაციას თამამი და გონივრული გადაწყვეტილების მეშვეობით გამოასწორებთ. **ლომი** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **ქალწული** – კარგი დღეა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ნაცნობობის წრის გაფართოება თქვენი წარმატების საწინდარია. **სასწორი** – წინაღმდეგობრივი დღეა. განსაკუთრებით იღბლიანი პერიოდია მდედრობითი სქესის წარმომადგენელთათვის. თქვენი მომხიბვლელობა გარშემომყოფების აღფრთოვანებასა და სიმპათიას იწვევს. **ღრიანაკალი** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. დღეს უმართლებთ თეატრის სფეროში მომუშავეებს. მსხვილი შენაძენისგან თავი შეიკავეთ. **მშვილდოსანი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ და ბოლომდე მიიყვანეთ. სასიყვარულო ურთიერთობებში ინტუიციას მიენდეთ. **თხის რქა** – საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. მეგობრები ფინანსურად დაგეხმარებიან. გართობა რეკომენდებულია ზომიერების ფარგლებში. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **თევზები** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი.

გისუჰვეებთ ბედნიერ დღეს!

ჯვარედინი



შვეულად: 1. კომიკური როლების შემსრულებელი მსახიობი ოპერეტებსა და ვოდევილებში; 2. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 3. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ხორვატიაში; 5. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 6. თანამდებობის პირის მოსასყიდად გაცემული თანხა; 8. უბანი თბილისში; 11. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 13. საჭმელი ზეთით მდიდარი, მსხლის ფორმის მქონე ტროპიკული მცენარე; 14. პატარა ბუ; 15. მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო გაერთიანება; 19. ბრიტანული ლუდხანა.

თარაზულად: 1. ჩეხური ლუდი; 4. ნიკოტინის შემცველი ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე; 7. გადასახდელსახურავიანი ძველებური ეტლი; 9. ნახატებითა და მოკლე ტექსტებით შედგენილი იუმორისტული ჟურნალი აშშ-ში; 10. სპორტული სირბილი დაბრკოლებათა გადალახვით; 12. ქალაქში მცხოვრები მოქალაქის სახელწოდება ძველად გერმანიაში; 16. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანი; 17. მაღალხარისხოვანი, არომატული სპირტიანი სასმელი; 18. ცნობილი დანიელი კარიკატურისტი; 20. ორპირიანი ქირურგის დანა; 21. გერმანელი მიკრობიოლოგი, ბაქტერიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის ფუძემდებელი; 22. ცნობილი სასტუმრო გაგრაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

გიორგი კეკელიძე ეროვნულ ბიბლიოთეკაში ქართული პრესის მუზეუმს ხსნის

ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მალე ქართული პრესის მუზეუმი იქნება.

ინფორმაცია ამის შესახებ ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ გაავრცელა:

– დიდი ამბავი – ეროვნულ ბიბლიოთეკაში მალე ქართული პრესის მუზეუმს გავხსნით.

მუშაობას ვიწყებთ დამწერლობის მუზეუმზე.

ჟირაფი ჟოზეს სპექტაკლები იწყება

პატარებისთვის ყველაზე საყვარელმა გმირმა, ჟირაფმა ჟოზემ, თბილისის თოჯინების თეატრში გადაინაცვლა და 25 სექტემბერს მაყურებელს შეხვდება.

ჟოზეს სპექტაკლებზე დასასწრები ბილეთები ელვის სისწრაფით გაიყიდა. მაყურებელი სპექტაკლების დამატებას ითხოვს.

ჟირაფი ჟოზე „სტუდია ველოსიპედის“ შექმნილია. მისი ვიდეოები პატარებს განსაკუთრებულად უყვართ. სტუდია „ველოსიპედის“ ხელმძღვანელ გიორგი მარშანიას თქმით, მაყურებელთა დიდი მოთხოვნა გათვალისწინებული იქნება და ჟირაფი ჟოზეს სპექტაკლები აუცილებლად დაემატება.